გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№89 (984) 24 – 25 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„კრავასლოსები“ ნაციონალების ციხეებში

გვ. 7

პატიმრის დღიური

„პალაჟენეცებისა“ და „მაყურებლების“ სია

კანონმდებლები კანონს არღვევენ!

ქუთაისში პარლამენტის შენობა უნებართვოდ აშენდა!

რატომ არ ჰქონდათ კომიტეტის სხდომების თბილისში ჩატარების უფლება და რა შემთხვევაში გამოიძიებს პარლამენტარების საქმიანობას სამართალდამცავი ორგანოები

დარღვევები მშენებლობის პროცესში და გაფლანგული მილიონები

გვ. 4–6

თენგიზ სიგუა: „სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ომი თუ დაიწყო, რუსეთი საქართველოში შემოიჭრება!“

დავით ზურაბიშვილის პოლიტიკური ანალიზი

რატომ დაემთხვა საკაშვილის ქონების დაყადაღება ამერიკაში ღარიბაშვილის ვიზიტს

გვ. 3

„ზოგადად, შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მაგრამ ჩანს, პროკურატურამ პოლიტიკური კონიუნქტურა ვერ გაითვალისწინა...“

ქართველ ემიგრანტებზე გადაღებული ფილმი, რომელმაც ამერიკელი მაყურებელი აატირა

გვ. 8

ქეთი ორჯონიკიძე აშშ-ში „ამომავალ ქალ რეჟისორად“ მონათლეს

„უკვე მოქმედების დროა, ვიდრე კლიმატური ძვრები მსოფლიოში არაპროგნიზირებად ცვლილებებს გამოიწვევს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო მზადაა, გადადგას პროგრესული ნაბიჯები კლიმატური ცვლილებების შერბილებისკენ.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ნიუ იორკში გაერო-ს კლიმატის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველოს მთავრობა კვლავ ადასტურებს, რომ მზადაა, შეიმუშაოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული მიზანმიმართული კონტრიბუციის“ ამბიციური კონცეფცია მომავალი, 2015 წლის პარიზის კონფერენციისთვის: **„დღეს უკვე მოქმედების დროა, ვიდრე კლიმატური ძვრები გამოიწვევს ფართოდ გავრცელებულ და არაპროგნიზირებად ცვლილებებს მთელ მსოფლიოში და საფრთხეს შეუქმნის მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს. არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული კლიმატური ცვლილებებისგან, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის ჩვენს უსაფრთხოებას, ხოლო ეკოსისტემებსა და ეკონომიკაზე მისი მავნე ზემოქმედება გვიბიძგებს, მაქსიმალურად გავაძლიეროთ მდგრადი განვითარება. საქართველო უკვე ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით: აშშ-ს მთავრობასთან ერთად, ვამზადებთ დაბალი ემისიების განვითარების სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ, ყოვლისმომცველ მიმართულებას გრძელვადიანი, მდგრადი განვითარებისკენ და დაგვეხმარება კლიმატური ცვლილებების სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში. პარალელურად, საქართველო მუშაობს სათანადო ეროვნული შემარბილებელი ღონისძიებების (NAMA) მომზადებაზე“.**

ერთი დღით ადრე კი, ღარიბაშვილმა მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე (ICPD) იმ პროგრესზეც ისაუბრა, რომელსაც საქართველომ ICPD-ის სამოქმედო პროგრამის მიღების შემდეგ მიაღწია. მათ შორის, მშობიარობისას გარდაცვლილი ქალების რაოდენობის შემცირებაზე, არასასურველი ორსულობის პრევენციასა და ახალგაზრდების შესაძლებლობების გაფართოებაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაწყებაზეც გაამახვილა ყურადღება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს თითოეული მოქალაქის ამბულატორიული, სტაციონარული და გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტით უზრუნველყოფა შესაძლებელი გახდა. პრემიერის მიმართვაში საუბარი იყო ადამიანის უფლებათა სფეროს მოსაწესრიგებლად რამდენიმე საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ინიციატივაზეც. მისივე განცხადებით, დევნილების საკითხი კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მეუღლესთან ერთად პრეზიდენტ ბილ და ჰილარი კლინტონების სახელით გამართულ ოფიციალურ მიღებაზეც იმყოფებოდა. ირაკლი ღარიბაშვილი მაია ფანჯიკიძესა და გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელ კახა იმნაძესთან ერთად, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის ფარგლებში, თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის სახელით გამართულ ოფიციალურ მიღებასაც დაესწრო.

რუსუდან შელია

„გადავარჩინოთ თსუ!“ — გაზგასამართის მშენებლობას სტუდენტები ეკონომიკის სამინისტროსთან გააპროტესტებენ

23 სექტემბერს, თბილისის მერიის წინ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა აქცია გამართეს და თსუ-ს ე.წ. მაღლივ კორპუსთან დაგეგმილი გაზგასამართი სადგურის აშენება გააპროტესტეს. მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით, რამდენიმე ათეული სტუდენტი გამოვიდა. მათ ხელში ტრანსფარანტები ეჭირათ წარწერით: „გადავარჩინოთ თსუ!“ „დავიცვათ ჩვენი უფლებები“... აქციის მონაწილეები პროტესტს სტვენითა და ხმამაღალი შეძახილებით გამოხატავდნენ.

საპროტესტო აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში, ორგანიზატორებს, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტები შემოუერთდნენ.

სტუდენტების განმარტებით, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობით ირღვევა მათი უფლებები — ჯერ ერთი, სადგური, ზოგადად დედაქალაქს შეუქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს. გარდა ამისა, აქციის ორგანიზატორების მტკიცებით, ავტოგასამართი სასწავლებლის შენობასთან იმდენად ახლოს შენდება, რომ შესაძლებელია, საფრთხე სტუდენტების ჯანმრთელობასაც შეუქმნას.

აქცია დაახლოებით ნახევარი საათის დაწყებული იქნებოდა, როცა დედაქალაქის მუნიციპალიტეტიდან მერის წარმომადგენელი ჩამოვიდა და სტუდენტებს აუწყა, რომ დავით ნარმანია მზად იყო, შეხვედროდა. ხუთკაციანმა საინიციატივო ჯგუფმა თბილისის მერის კაბინეტში თითქმის ერთი საათი გაატარა. საბოლოოდ, გაირკვა — თბილისის მერიას არ აქვს უფლებამოსილება, შეწყვიტოს გაზგასამართი სადგურის მშენებლობა და ეს მხოლოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრეროგატივაა. მიუხედავად ამისა, დავით ნარმანია სტუდენტებს დაპირდა, რომ უშუამდგომლებს სტუდენტების მიერ არჩეულ ლეგიტიმურ საინიციატივო ჯგუფს ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილესთან. თბილისის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ეს შეხვედრა რამდენიმე დღეში შედგება, მანამდე კი სტუდენტები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ და 24 სექტემბერს, აქციის გამართვას ეკონომიკის სამინისტროსთან გეგმავენ.

ანა ჩავიშვა

რატომ გადადო დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა საგადასახადო კოდექსის განხილვა?

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტის განხილვა გადაიდო. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ, ზურაბ ტყემალაძემ აღნიშნა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს კომიტეტი მას შემდეგ განიხილავს, რაც საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტს დეტალურად შეისწავლიან.

23 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა სამი სხვა კანონპროექტი განიხილა. „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანას კომიტეტმა მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი. კანონპროექტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ მუხლობრივად წარადგინა, რაც საქართველოში მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების არსებული სისტემის რეფორმირებასა და სათანადო კანონმდებლობის სრულყოფას ითვალისწინებს.

ამ კანონიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონშიც. ნათია მიქელაძემ კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, რომ ცვლილებები მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) რეკომენდაციით, 2010 წელს, ევროკავშირის კომისიამ მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი ქართული დიპლომების აღიარება შეაჩერა. ამის გამო, ქართველი მეზღვაურების დასაქმებისა და სერტიფიცირების სისტემაში მნიშვნელოვანი სირთულეები შეიქმნა.

მეორე საკითხი, რომელიც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხდომაზე განიხილეს, საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი და 2014 წლის 31 მარტს ხელმოწერილი „საქართველოს მთავრობასა და ტუვალუს მთავრობას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი“ იყო. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილ 2014 წლის 5 ივნისს ხელმოწერილ შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობის გადაცემის შესახებ“. მისგან გამომდინარე კანონპროექტს, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას გულისხმობს, კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა, რადგან, ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, კანონპროექტზე დამატებითი კონსულტაციების გავლაა საჭირო. „ვერსიასთან“ საუბრისას, ზურაბ ტყემალაძემ ისიც განმარტა, რატომ გადაიდო საგადასახადო კოდექსის განხილვა: „დეტალურად უნდა გავეცნოთ, კონკრეტულად რა ტიპის ჯარიმების ჩამოწერას ითვალისწინებს ეს კანონპროექტი. სახელმწიფოს მიმართ, სხვადასხვა ბიზნესკომპანიებს დიდი ხნის მანძილზე, დაახლოებით, 4 მილიარდი ლარის დავალიანება დაუგროვდათ. მათ შორის, დავალიანება აქვთ ისეთ კომპანიებსაც, რომლებიც ბუნებაში აღარ არსებობს. შესაბამისად, ეს ლაფსუსი უნდა აღმოიფხვრეს, რისთვისაც გადასახადებისა თუ ჯარიმების ჩამოწერაა აუცილებელი“.

მაია მიშელაძე

ხმაურიანი სხდომა თბილისის საკრებულოში

23 სექტემბრის თბილისის საკრებულოს სხდომას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია. კენჭისყრაზე დაყენებული 13 საკითხიდან ცამეტივე დაამტკიცეს, მაგრამ რამდენიმე მათგანი ოპოზიციისა და მასთან ერთად, რესპუბლიკელებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

კენჭისყრა მერიის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ უფროსის, პაატა კილაძის თანამდებობიდან გათავისუფლებით დაიწყო, რომელსაც 32-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. მისი მოვალეობის დროებით შემსრულებლად კახაბერ გვანცელაძე დაასახელეს. სანამ გვანცელაძე საკრებულოს წევრებს თავის ბიოგრაფიას აცნობდა, დეპუტატები, ძირითადად, ერთმანეთთან საუბრითა და დღის განრიგზე უცნაური ფორმის ფიგურების ხატვით ერთობოდნენ. კითხვა მხოლოდ რესპუბლიკელმა ხათუნა სამნიძემ და სოსო მანჯავიძემ დასვეს. სამნიძეს კოდექსისა და ფონდის დებულება აინტერესებდა, მანჯავიძემ კი, დაარსების დღიდან, ფონდის მიერ განხორციელებული ერთი პროექტის დასახელება ითხოვა. გვანცელაძემ წარმატებული პროექტი ვერ გაიხსენა.

მორიგი საკითხი მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცებას ეხებოდა. ნაციონალებმა ისევ კალაძის ცოლისძმის დასაქმების საკითხზე ისაუბრეს. აღნიშნეს, რომ სეკვესტრირებული ბიუჯეტისა და საბიუჯეტო პრობლემების გამო დაფინანსების გარეშე დარჩენილი უამრავი პროგრამის ფონზე, შტატების გაბერვა გაუმართლებელია. „ქართული ოცნების“ დეპუტატების განცხადებით კი, ნაციონალური მოძრაობა, როგორც ყოველთვის, საკითხის პოლიტიზირებას ცდილობს, აღნიშნული გადაწყვეტილების არგუმენტად კი, მერიაში დაწყებული რეორგანიზაცია და კულტურის სფეროში დაგეგმილი მასშტაბური რეფორმები დასახელდა. მოგვიანებით, უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი მუსხელიშვილმა დაადასტურა, რომ კალაძის ცოლისძმის, გიორგი არეშიძის კანდიდატურა ერთ-ერთი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე მართლაც განიხილება.

ვნებათაღელვა გამოიწვია თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების ინიციატივამ. როგორც მომხსენებელმა გიორგი გაგოშიძემ განაცხადა, კომისიის მუშაობისთვის დამატებით თანხის გამოყოფა საჭირო არ არის, რადგან ამ მიმართულებით საკრებულოს თანამშრომლები დამატებით საათებში იმუშავებენ, თავად კომისია კი, დაახლოებით, სამ თვეში ერთხელ შეიკრიბება და მას, შესაძლოა, შს მინისტრის მოადგილეც დაესწროს. სევდია უგრეხელიძის განცხადებით, აუნაზღაურებლად თანამშრომლების დამატებით სამუშაო საათებში დატვირთვა შრომის კოდექსის დარღვევაა, თანაც თუ კომისია მხოლოდ 3 თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბოს, საკრებულოსა და შსს-ს შორის ურთიერთობა კომისიის გარეშეც შესაძლებელია და მისი შექმნა აუცილებელი არაა. ნაციონალებს დაეთანხმნენ რესპუბლიკელებიც. მიუხედავად ამისა, საკრებულოს თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე გაიტანა, უმრავლესობამ კი მას მხარი დაუჭირა.

განსაკუთრებით ცხარე კამათის საფუძველი „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის 6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი აღმოჩნდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თბილისის გარეუბანში სარეკრეაციო ზონის გარკვეულ ნაწილზე გერმანული სკოლის მშენებლობა იგეგმება. ხათუნა სამნიძემ პროცედურულ დარღვევებზე ისაუბრა. მისი თქმით, ამ საკითხზე, არც გარემოს დაცვის სამინისტროს დასკვნა არსებობს. სარეკრეაციო ზონის ნაწილის სამშენებლო კომპანიისთვის გადაცემა კი მილიონი ხის დარგვის შესახებ დავით ნარმანიას წინასაარჩევნო დაპირებასაც ეწინააღმდეგება. მან საკითხის განხილვის გადადება მოითხოვა, მაგრამ თავმჯდომარემ ინიციატივა კენჭისყრაზე მაინც გაიტანა და მას 26-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

რუსუდან შელია

„შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მაგრამ ჩანს, პროკურატურამ პოლიტიკური კონიუნქტურა ვერ გაითვალისწინა“

რატომ დაემთხვა სააკაშვილის ქონების დაყადაღება ამერიკაში ღარიბაშვილის ვიზიტს და რაში არ ეთანხმება რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი თავის გუნდს

ერუსუდან შელია
557-100-768

მიხეილ სააკაშვილის დედისა და მეუღლისთვის ქონების დაყადაღებას არ ეთანხმება. ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს დააზარალებს, პასუხისმგებლობას კი, პროკურატურას აკისრებს, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ ნაწილად მიიჩნევს. არც პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობის საჯარო განხილვის მომხრეა და ვიზიტებზე გამგზავრების უპირატესობის დასადგენად, კონსტიტუციურ განსაზღვრებებს ითხოვს, ხელისუფლებას კი პრობლემების აღიარებისკენ მოუწოდებს. „ვერსიასთან“ საკრებულოსა და ზოგადად, პოლიტიკურ ასპარეზზე მიმდინარე პროცესებს, საკრებულოს დეპუტატი, რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი აფასებს.

— საკრებულომ 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებები დაამტკიცა და ამ ეტაპზე, 2015 წლის ბიუჯეტის შედგენაზე ფიქრობს. ზოგადად, არჩევნების შემდეგ, საკრებულოში და მერიაშიც ჩამოყალიბების პროცესი მიდის. ჩამოსაყალიბებელია ურთიერთობები საკრებულოსა და მერიას შორისაც, რადგან ნაციონალური მოძრაობის დროს გადაწყვეტილებებს მხოლოდ გიგი უგულავა იღებდა, დედაქალაქის საკრებულო კი, დოკუმენტზე მხოლოდ ბეჭედს არტყამდა. საკმაოდ უცნაური ვითარება იყო შიხიაშვილის პერიოდშიც...

— ირაკლი შიხიაშვილი მაინც გუნდის წევრად დარჩა და თანამდებობაც მიიღო. საზოგადოებაში კი ლოგიკური კითხვა გაჩნდა — რატომ უფრთხილდება ხელისუფლება საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, როცა წინასაარჩევნო დაპირებით, ყოფილი ნაციონალები საარჩევნო სიაშიც კი არ უნდა ყოფილიყვნენ?

— შიხიაშვილის მიმართ რესპუბლიკელების დამოკიდებულება თავიდანვე ცნობილი იყო. ქვეყანაში კოალიციური მმართველობა იმიტომ გვაქვს, რომ მასში შემავალ პარტიებს ყველა საკითხზე ერთი მოსაზრება არ გვექნება. შიხიაშვილის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნას ჩვენი პარტია არ ეთანხმებოდა.

— დედაქალაქის მერია ახლა მიხეილ სააკაშვილის ქონებას ითვლის და აუცილებლობის შემთხვევაში, მის გაყიდვასა და თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე საუბრობს. ამ საკითხზეც გაქვთ კოალიციისგან განსხვავებული პოზიცია?

— დავით ნარმანიამ, სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის დაყადაღებლი ქონების გაყიდვის შესაძლებლობაზე ისაუბრა და არსებული საკანონმდებლო ნორმა განმარტა. კანონით, როცა ბრალდებული პირი გამოძიებასთან არ თანამშრომლობს, მისი ქონების დაყადაღება შესაძლებელია. ეს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მიღებული კანონმდებლობაა. პროკურატურა სამართლებრივ ჩარჩოებს არ გასცდენია, მაგრამ პირადად მე, ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება იდეაშივე არასწორი იყო — სააკაშვილის მეუღლისა და დედის ქონება არ უნდა დაყადაღებულიყო. ეს პოლიტიკურად არასწორი ნაბიჯია, მით უმეტეს მაშინ, როცა პრემიერი ვიზიტით ამერიკაშია, მსოფლიოში კი მსგავს გადაწყვეტილებებს საკმაოდ ნეგატიურად აღიქვამენ. ამერიკაში საქართველოს კანონმდებლობას არავინ ჩაუღრმავდება და არავინ იკითხავს, კანონიერად მოქმედებს თუ არა პროკურატურა სააკაშვილის მეუღლისა და დედის წინააღმდეგ. პირიქით, დარწმუნებული ვარ, ამ პროცესს პოლიტიკური ანგარიშსწორების გამოვლინებად შეაფასებენ.

— თუ დასავლეთის რეაქცია ხელისუფლებისთვის თავიდანვე ცნობილია, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ და რატომ დაემთხვა სააკაშვილის ოჯახის წევრებისთვის ქონების დაყადაღება პრემიერის ვიზიტს ამერიკაში?

— არ ვიზიარებ იმ ადამიანებს აზრს, რომლებიც ამბობენ, რომ პროკურატურა პოლიტიკისგან შორს დგას — პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია და მის გადაწყვეტილებებზე მთავრობაა პასუხისმგებელი. გვინდა თუ არა, გენერალურ პროკურორს სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავს.

— ანუ ნაციონალური მოძრაობის განცხადებებს იზიარებთ, რომ პროკურატურამ პოლიტიკური დავალება მიიღო?

— ზოგადად, შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მაგრამ ჩანს, პროკურატურამ პოლიტიკური კონიუნქტურა ვერ გაითვალისწინა. უწყებას მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის სახელზე არსებული ქონება რომ დაეყადაღებინა. აჟიოტაჟიც არ ატყდებოდა; თუმცა ვიმეორებ, როცა მის მეუღლესა და დედას ეხები, ეს ნაბიჯი კითხვებს ბადებს. ნაციონალური მოძრაობა იმასაც ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი პუტინის დავალებით ქვეყანას აქცევს, მაგრამ ამაზე საუბარი ზედმეტია. ეს მათი დამოკიდებულებაა და არავინ უშლის ხელს — იყვირონ. ახლა ხელისუფლების ქმედებებია მნიშვნელოვანი.

— ნაციონალური მოძრაობის „ყვირილს“ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების ჩანაწერებიც ერთვის. საზოგადოებაში კი ყალიბდება აზრი, რომ 90-იანი წლების დაბრუნების საფრთხე არსებობს.

— ნაციონალური მოძრაობა საჯაროდ ახმოვანებს საკუთარ ფიქრებსა და გეგმებს. მათი მიზანი ხელისუფლებაში დაბრუნებაა. ციხეებში ვითარება იდეალური რომ არ არის, ეს ვიცით და ამის ობიექტური მიზეზები არსებობს, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას ამაზე საუბარი არ აწყობს. შეუძლებელია, ქვეყანაში კრიმინალური ვითარება შეიქმნას, როცა ციხეში 50 ათასი ადამიანი ზის, ამდენივე კი საპროცესო შეთანხმებითაა გამოშვებული. ამ სასტიკ რეჟიმს სადავეებს რომ „მოუშვებ“, ციხეს ბაჩო ახალაიას მეთოდებით, ცოცხებითა და „დუბინკით“ არ აკონტროლებ, წესრიგის დამყარება რთულია. იგივე პრობლემაა ამერიკის ციხეებშიც. ბუნებრივია, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების ჩანაწერებში ლიტერატურაზე არ იქნება საუბარი. თავის დამკვიდრებას ცდილობენ, ამიტომ ამ მიმართულებით სამუშაოებია ჩასატარებელი. მთავარია, პრობლემა არ უარვყოთ და არ ვთქვათ, რომ ყველაფერი კარგადაა. პირიქით, მოგვარების გზებზე ვისაუბროთ.

— სოზარ სუბარი ამბობს, რომ „ავტორიტეტებს“ შორის სატელეფონო საუბრები წინა ხელისუფლების დროსაა ჩაწერილი. ზოგადად, ორი წელია ყველა პრობლემასა თუ კითხვაზე ხელისუფლება წინამორბედისკენ იშვერს ხელს და საზოგადოებას წარსულს ახსენებს. რატომ?

— გამოუცდელობის ბრალია, როცა გგონია, რომ პრობლემაზე საუბარი დაგაზარალებს. პირიქით, შენ მომხრეებს არ მოსწონთ, როცა არსებულ პრობლემას უარყოფ. გოდებაში არ უნდა ჩავარდე, მაგრამ ყველაფრის უარყოფა არ შეიძლება. როცა ორი წელია ხელისუფლებაში ხარ, არ შეიძლება პოლიტიკურ დღის წესრიგად ნაციონალურ მოძრაობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოაცხადო, მით უმეტეს, როცა უამრავი პრობლემა გვაქვს, ეკონომიკა განსავითარებელია. მერიისა და საკრებულოს მაგალითზე, თბილისშიც, თითქმის ყველა სფეროში პრობლემებია. ხელისუფლებამ დღის წესრიგი გაკეთებულ საქმეებზე საუბრით უნდა შექმნას. არსებული დამოკიდებულებით ნაციონალური მოძრაობის აქტუალობას ვზრდით, არადა ამხელა პატივს არ იმსახურებს.

— იქნებ ხელისუფლებას პრობლემის მოგვარების უნარი არ აქვს და საზოგადოების ყურადღების გადატანას ცდილობს?

— ნაციონალური მოძრაობა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის „კანფეტივით“ ოპოზიციაა. ასეთი „ბუას“ იმიჯი სხვა ოპოზიციას ვერასოდეს ექნება, რადგან ამ ჯგუფის მმართველობა საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ. როცა ასეთი ოპოზიცია გყავს, რთულია ხელისუფლებაში მათი დაბრუნების თემაზე არ ითამაშო.

— ეს არც კოალციის რეიტინგზე მოქმედებს დადებითად. მითუმეტეს, ნაციონალური მოძრაობის გარდა, პრემიერისა და პრეზიდენტის სახით დაპირისპირებული მხარეები გუნდშიც გაჩნდნენ.

— სანამ ეს „ბუა“ არსებობს, კოალიციის რეიტინგი ყოველთვის მაღალი იქნება. პრემიერსა და პრეზიდენტს შორის მსგავსი ფორმით ურთიერთობა კი არა მგონია, გამართლებული იყოს. ყველამ უნდა იმუშაოს ამ საკითხის დასარეგულირებლად და საკონსტიტუციო დონეზე მკაფიოდ განისაზღვროს — ვინ სად და რომელ ვიზიტზე გაემგზავრება. მსგავსი გარჩევა საზოგადოებრივ არენაზე არ უნდა გამოდიოდეს, რადგან ეს მოსახლეობაზე და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს.

„სააკაშვილის საქმიანობის ანალიზი მის თავნებობასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას აღასტურებს“

The American Conservative სტატიას აქვეყნებს, სათაურით — „სასოწარკვეთილი სააკაშვილი რეაბილიტაციას ცდილობს“. სტატიაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის ომსა და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტს შორის გარკვეული მსგავსება არსებობს, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ მეტწილად, სააკაშვილია პასუხისმგებელი კონფლიქტის ესკალაციაზე: „გარდა ამისა, სწორედ ის ხელმძღვანელობდა 2007 წელს ოპოზიციის დემონსტრაციის დარბევას, რომელსაც მოჰყვა ასობით ადამიანის დაშავება... საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, რომელიც დღეს ბრუკლინში ცხოვრობს, პოლიტიკური რეაბილიტაციის იმედი აქვს. ბატონი სააკაშვილი, რომელიც ბევრად ჩასუქებულია, ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნისას, ამტკიცებს, რომ ამ კონფლიქტის კვალდაკვალ უნდა გადაფასდეს მისი, როგორც შეუპოვარი ლიდერის რეპუტაცია, მისი მშვიდობიანი „ვარდების რევოლუცია“ და რეფორმებისადმი ერთგულება მოექცა ოპონენტების სასტიკი დევნის და კანონის უზენაესობის გაუკულმართების წლების, ასევე ბატონი პუტინის ომისაკენ პროვოცირების ჩრდილში, რამაც შედეგად მოიტანა საქართველოს ათასობით მოქალაქის სიკვდილი, დევნილობა და გაღატაკება.

არსებობს გარკვეული მსგავსება 2008 წლის ომსა და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტს შორის, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ მეტწილად, სააკაშვილია პასუხისმგებელი კონფლიქტის ესკალაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სააკაშვილის პროვოცირებისათვის, სწორედ სააკაშვილმა გამოიჩინა სიბრიყვე და წამოეგო ანკესს. ამის მიზეზი იყო მისი მცდარი რწმენა, რომ აშშ და მოკავშირეები გადაარჩენდნენ მას საშიშროების შემთხვევაში. ამისკენ კი, თავის მხრივ, სააკაშვილს უბიძგა დაუფიქრებელმა ამერიკულმა რიტორიკამ, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების უსაფუძვლო მხარდაჭერამ და უგნურმა დასავლურმა ენთუზიაზმმა, რომელიც ე.წ. რევოლუციასთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამის მიუხედავად, ცხინვალზე შეტევის დაწყებისა და უფრო ფართომასშტაბიანი ომის წამოწყების გადაწყვეტილება სწორედ სააკაშვილს ეკუთვნოდა და სწორედ მას აკისრია მეტი წილი პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც ქვეყანამ განიცადა. გარდა ამისა, სწორედ იგი ხელმძღვანელობდა 2007 წელს ოპოზიციის დემონსტრაციის დარბევას, რომელსაც მოჰყვა ასობით ადამიანის დაშავება. საქართველოში მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, ძალაუფლების გადამეტებასთან დაკავშირებით, საკმაოდ დამაჯერებელია, რადგანაც 2012 წელს ნაწილობრივ სწორედ სააკაშვილის მთავრობის დანაშაულთა გამო გადაირჩიეს მისი პარტია. თანამდებობაზე ყოფნის დროს სააკაშვილის საქმიანობის ანალიზი მხოლოდ ადასტურებს მის თავნებობასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები კი ამ სურათს ნაკლებად ცვლის, ანუ ის, თუ ვინ და რას ფიქრობს უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სააკაშვილს ოდნავადაც არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან“.

„პირველი“



თბილისში მოქალაქემ საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მერვე განყოფილებაში მოქალაქემ წარმოადგინა და ნებაყოფლობით ჩააბარა საბრძოლო მასალა: „ეფ-1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა და „ა-კა-ეს“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 1 მჭიდი 30 ვაზნით. ექსპერტიზის დასკვნით, ჩაბარებული საბრძოლო მასალა გამოსაყენებლად ვარგისია.

გამოძიება საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

კანონმდებლები კანონს არღვევენ!

რა ცუდი პრეცედენტი შექმნა პარლამენტმა და რა შემთხვევაში გამოიძიებს მის საქმიანობას სამართალდამცავი სტრუქტურები

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48 — „საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი“.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 26 — იურიდიული პირის ადგილსამყოფელი: „იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი ანუ იურიდიული მისამართი. იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფელად“.

ამ ორი კანონით, საქართველოს პარლამენტსა და ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებს ერთი მარტივი დასკვნის გაკეთება შეუძლიათ — იურიდიული პირის, პარლამენტის ადგილსამყოფელი ქალაქი ქუთაისია, თუმცა მისი ადმინისტრაცია თბილისშია გადმოსული. გასვლით საკომიტეტო სხდომებს კი პერმანენტული ხასიათი აქვს, ამიტომ ეს სხდომები ერთჯერადი კი არა, მუდმივია. ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტის ფილიალები ბუნებაში არ არსებობს, ნებისმიერი საპარლამენტო საქმიანობა, რაც თბილისში ტარდება, არის კანონგარეშე, კონსტიტუციისა და სამოქალაქო კანონის უხეში დარღვევა და უბრალოდ ძალიან ცუდი პრეცედენტი, თუ როგორ უნდა გადაამტეტო უფლებამოსილებას და ჩაიდინო თანამდებობრივი დანაშაული, კანონის გვერდისავლით. ამის შესახებ „ოცნების“ დეპუტატებმაც კარგად იციან და ნაციონალებმაც, რომლებიც დიდი ხანია თბილისში მუშაობას აპროტესტებენ, კომიტეტების სხდომებს არ ესწრებიან და მხოლოდ ქუთაისში დადიან სესიებზე. ამ კანონდარღვევის შესახებ კარგად იცის პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმაც, რომელიც გამოცდილი იურისტია და ალბათ, სწორედ ამიტომ არ გამოუცია არც ერთი ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვით პარლამენტი თბილისში საკომიტეტო მუშაობას დააკანონებდა. დღეისთვის დეპუტატები, კომიტეტები, პარლამენტის ადმინისტრაცია თბილისში ე.წ. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მუშაობს, რადგან, როგორც კი პარლამენტი იურიდიულ აქტს გამოსცემს და ხელს მოაწერს, ნაციონალები ამ აქტს მაშინვე საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებენ, როგორც კონსტიტუციის დარღვევას და პროცესსაც მოიგებენ, მით უმეტეს, სასამართლოს უცვლელი შემადგენლობის პირობებში. ამ პატარა „ცბიერებისთვის“ პარლამენტის შექებაც კი შეიძლება, უბრალოდ გაუგებარია, ჯერ ერთი, რით განსხვავდებიან წინა ხელისუფლებისგან, რომელიც საკუთარ ხუშტურებზე ყველას კანონისავლით გვატარებდა და მეორე — არავინ იცის, რა იქნება ამ უკანონობის პოლიტიკური შედეგი!

სხვათა შორის, ყოფილი ხელისუფლების კულუარებიდან ხმები აქტიურად გამოდის იმის შესახებ, რომ რამდენიმე დეპუტატი ჩასაფრებულია და ელის, როდის მიიღებს საკანონმდებლო ორგანო ნორმატიულ აქტს, რათა ეს აქტი მაშინვე ბათუმის საკონსტიტუციო სასამართლოში წაიღოს. პარლამენტი კი ჯიუტად არ იღებს დოკუმენტს და კაცმა არ იცის, „რამდენჯერადი“ შეიძლება აღმოჩნდეს ერთჯერადად დაშვებული გასვლითი სხდომები. გასაგებია „ოცნების“ არგუმენტიც, რომელიც ამბობს, რომ კონსტიტუციის 48-ე მუხლში მხოლოდ სხდომებისა და სესიების ქუთაისში ჩატარებაა აუცილებელი და არა კომიტეტებისა, მაგრამ რას ვუშვრებით სამოქალაქო კოდექსს ან რატომ გადმოვიდა ადმინისტრაცია თბილისში და აქ „პარლამენტის ფილიალი“ გაგვიხსნა?! ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რაღაც იურიდიული კაბინეტი ხომ არ არის, ფილიალები „ზღვის სეზონზე“ ბათუმში გახსნას და რთვლის დროს — გურჯაანში?! აქ კიდევ ერთი უხერხული პოლიტიკური მომენტია: „ოცნება“ ისედაც ყველა სახელისუფლო შტოს აკონტროლებს და ყველა საპარლამენტო კომიტეტში უმრავლესობა ჰყავს, მაგრამ ჯერ ერთი, კვორუმის არარსებობის გამო, სხდომებიც არაერთხელ ჩავარდნილა, რადგან დეპუტატები კომიტეტებს ხშირად აცდენენ და მეორე — სამუშაო სხდომებს არ ესწრებიან ნაციონალები და ქუთაისში მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხს იმ დოზით არ აგებენ, როგორც „ოცნება“.

ამ კანონდარღვევის შესახებ რამდენიმე პროფესიონალს დავეკითხეთ. როგორც ჩანს, აზრი აქაც ორადაა გაყოფილი, თუმცა იმას მაინც არავინ უარყოფს, რომ ცვლილებები პარლამენტის რეგლამენტში მაინცაა შესატანი. **ვახტანგ ძაბირაძე, კონსტიტუციონალისტი: „კონსტიტუციის 48 პრიმა მუხლში ნამდვილად წერია, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი, დროებითი ადგილის შეცვლა, სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარ ვითარებაში. ანუ აქ საუბარია სხდომაზე, სესიაზე და არა კომიტეტების მუშაობაზე. სავარაუდოდ, ამ გასვლით სხდომებს პარლამენტის რეგლამენტი დაარეგულირებს. საკითხს პოლიტიკურად თუ შევხედავთ, „ოცნებამ“ დღემდე ვერ შეიმუშავა ნაციონალებთან ურთიერთობის ფორმა და სტრატეგია. ნაციონალებმა თავის დროზე თქვეს, ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და დანარჩენი ფეხებზე გვკიდიაო. მაშინ ამას მოსახლეობაში ცუდი რეზონანსი მოჰყვა, მაგრამ დღეს ეს რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმეოროს, ხალხში კარგი რეაქცია მოჰყვება. ეს მარტო კი არ უნდა თქვას, უნდა გააკეთოს კიდეც. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, იგნორის პოლიტიკას ავირჩევდი. ამით „ოცნება“ არაფერს დაკარგავს, მით უმეტეს, კომიტეტებშიც უმრავლესობა ჰყავს და ყველა საკმარისი ბერკეტიც გააჩნია“.**

კომიტეტების თბილისში მუშაობას კანონდარღვევად არც მოქმედი კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი **ავთანდილ დემეტრაშვილი** მიიჩნევს: **„ეს არ არის დარღვევა, რადგან კომიტეტები გადაწყვეტილებას თბილისში კი არა, ქუთაისში იღებენ. აი, არაკონსტიტუციური ის იქნებოდა, პლენუმი თბილისში ტარდებოდეს. ან რა აქტი სჭირდება იმას, სხდომა ბათუმში რომ ჩავატარო?! თუმცა, ერთადერთი საკითხი ისაა, რეგლამენტში ცვლილება იქნება შესატანი“.**

ეს რომ მხოლოდ რეგლამენტში ცვლილების დონეზე მოგვარებადი პრობლემა არაა, ამაში ექსპერტ **ლევან ალაფიშვილის** განმარტებაც დაგარწმუნებთ: **„რაც დღეს ხდება, კანონდარღვევა რომაა, ამის შესახებ ყველამ კარგად იცის, მათ შორის პარლამენტშიც. უბრალოდ, დეპუტატები იმით სარგებლობენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ მაშინაა უფლებამოსილი, საკითხზე იმსჯელოს, როცა პარლამენტის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, რომელიც გაფორმებულია ნორმატიული აქტით. ბუნებრივია, დღეს ასეთი აქტი არ არსებობს და ვერც იარსებებს. პარლამენტის ჩვეულებრივი, არანორმატიული დადგენილებაც ვერ გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. სწორედ ამით სარგებლობენ და ეს ცუდი საქციელია — როცა კანონმდებელი კანონს არ იცავს, ეს დასასრულია!“**

თუმცა, აქ ალბათ უფრო მნიშვნელოვანი კითხვებია, როგორ მოუტრიალდება ეს ყველაფერი „ოცნების“ ხელისუფლებასა და კანონის ჩარჩოდან გასულ პარლამენტს და ვინ არის ამ უკანონობაზე პასუხისმგებელი: **„პარლამენტმა სამომავლოდ იმის ძალიან ცუდი პრეცედენტი შექმნა, როგორ წერია ერთი რამ კანონში და მეორეს აკეთებს. მარტივი მაგალითი ავიღოთ: ადგილმდებარეობის შესახებ კანონში პირდაპირი ჩანაწერი არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოზეც, ეროვნულ ბანკზეც. ერთ მშვენიერ დღეს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც ბათუმშია, აქტი არ მიიღოს, მაგრამ გამოაცხადოს, შენობას ვქირაობ და თბილისში გადმოვდივარო, აქ ვიქნებით და თვეში ერთხელ ჩავალთ ბათუმში, გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად და ჩაქუჩის დასაკაკუნებლადო, ამაზე პარლამენტს რა რეაქცია ექნება?! მაშინვე აყვირდებიან, კანონსა და კონსტიტუციას არღვევო? ანალოგიურად შეუძლია მოქცევა ეროვნულ ბანკსაც — მინდა, ვიყო ბათუმში და წელიწადში ერთხელ ჩამოვალ თბილისში, ანგარიშის მოსამზადებლად, მერე კი ჩავალ ქუთაისში, როცა ეს ანგარიში პარლამენტში უნდა წარვადგინოო. ამ შემთხვევაში, შესაძლოა პირის, მოსამართლის, ან ბანკის თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხიც დადგეს რადგან იგი კონსტიტუციის დარღვევაში იქნება ბრალდებული. ამ ტიპის კანონდარღვევა ჩვეულებრივი თანამდებობრივი დანაშაულია — ან თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ან უფლებამოსილების გადამეტება. ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა კი ყველას თანაბრად ეკისრება, დეპუტატებსაც და პარლამენტის თავმჯდომარესაც. ყველაფერი მხოლოდ დავით უსუფაშვილის დონეზე გადასაწყვეტი არ არის. პარლამენტი ხომ კომიტეტებში ბიუჯეტს თბილისში განიხილავდა, ანუ აქ უკვე კანონთან შეუსაბამობაა ქონებრივ და ფინანსურ ნაწილშიც, აღარაფერს ვამბობ კონსტიტუციაზე. კონსტიტუციის დარღვევა სახეზეა, უბრალოდ, ეს დოკუმენტურად არაა გაფორმებული“,** — აცხადებს ლევან ალაფიშვილი და კიდევ ერთი მარტივი მაგალითი მოჰყავს, როგორც გადასახადის გადამხდელს, თუ რა რთული და უაზროა ორად გაყოფილ პარლამენტთან ოფიციალური ურთიერთობა და როგორ ორმაგდება ჩვენი ხარჯი ამ შემთხვევაში: **„მაგალითად, ვგზავნი წერილს პარლამენტის სახელზე, ოფიციალურ მისამართზე ფოსტით ანუ ქუთაისში. ამისთვის ვიხდი, პირობითად, 5 ლარს, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარე და ადმინისტრაცია თბილისშია და ჩემი წერილის ადრესატამდე მიღწევას მისი თბილისში გადმოგზავნა სჭირდება, რაც დამატებით კიდევ 5 ლარი ჯდება. ანუ ჩემი ხარჯი ორმაგდება, დრო დროდ, ფული კი ფულად იკარგება. მე, როგორც გადასახადის გადამხდელი რატომ ვიჩაგრები და რატომ ვწევ დამატებით ხარჯს? აბა, ვცადოთ და პირდაპირ აქ, თბილისში მივაწოდოთ პარლამენტს რაიმე კორესპონდენცია, თბილისს ხომ ოფიციალურ მისამართად არ ჩათვლიან და წერილს არ ჩაიბარებენ, რადგან ეს კანონდარღვევა იქნება?!“**

ბოლოს, როგორც ყველაფერს, ისე პარლამენტის ამ თვითნებობასაც ოდესღაც ლოგიკური დასასრული ექნება და შედეგიც არ დააყოვნებს, რომელიც შეიძლება, მძიმე აღმოჩნდეს. შესაძლოა, 2016 წელს „ოცნება“ ხელისუფლებაში აღარც იყოს და მომდევნო ხელისუფლებამ, ვთქვათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პარლამენტის 2014 წლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი დაავალოს. ანდაც, რად უნდა ამ საქმეს ახალი ხელისუფლება — აუდიტის სამსახურს პარლამენტის „გამოჭერა“ ხომ დღესაც შეუძლია?!

ლევან ალაფიშვილი: „ქვეყანაში მძლავრი, დამოუკიდებელი ინსტიტუტი არსებობს, ფუნქციური თვალსაზრისით. ეს აუდიტის სამსახურია, რომელმაც ეს პროცესი ჯეროვნად რომ შეამოწმოს და შესაბამისობის აუდიტი ჩატარდეს, ამაზე სერიოზული მსჯელობა დაიწყება. აუდიტის დასკვნა კი, შესაძლოა, სამართალდამცავთა მსჯელობის საგანი გახდეს“.

ვერსიანიუსი

ლუკა კურტანიძე თანამდებობაზე რჩება

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მისული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე, სპორტსმენებმა „სირცხვილის დერეფანში“ გაატარეს და კვერცხები დაუშინეს. კურტანიძემ შენობაში შესვლა მხოლოდ სამართალდამცავების დახმარებით მოახერხა. ადგილზე შეკრებილი მოჭიდავეები მის გადადგომას ითხოვდნენ. მოჭიდავე დავით მოძმანაშვილის განმარტებით, **„ლუკა კურტანიძემ ჭიდაობა მოსპო და რაც ევალება, იმის ნახევარიც არ გაუკეთებია“.**

მოგვიანებით, ლუკა კურტანიძემ, გულშემატკივრებსა და სრულიად საქართველოს სამინისტროსთან შექმნილი ვნებათაღელვის გამო ბოდიში მოუხადა. ასევე აღნიშნა, რომ ყველანაირად ეცდება, მდგომარეობა მოლაპარაკებით მოაგვაროს. კურტანიძის განცხადებით, პროტესტი, რომელიც სპორტსმენებმა გამოხატეს, დემოკრატიულობის ნიშანია, რისი გაკეთების უფლებაც აქამდე არ ჰქონდათ: **„გადავდივართ დიალოგის ფორმატში. მწვრთნელებს მივეცით მითითება, გამოასწორონ ვითარება. ჩემს მოვალეობას პირნათლად ვასრულებ. ამ ხალხს შეუძლია გამოხატოს პროტესტი, მაგრამ, რადგან ეს საკითხი ასე აღელვებთ, განვიხილეთ პრეზიდიუმის სხდომაზე. ის, რაც ხდება, რთული მოსათმენია. დიდი ნერვების, მოლაპარაკებისა და მოთმინების ფასად, შევძლებთ, განვითარებაზე ავიღოთ ორიენტირი“.**

პრეზიდიუმის სხდომის დასრულების შემდეგ ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რომან რურუამ განაცხადა, რომ ლუკა კურტანიძეც რჩება თანამდებობაზე და ის მწვრთნელებიც, რომელთა გათავისუფლებასაც კურტანიძე აპირებდა.

რურუას თქმით, ერთი თვის განმავლობაში შეისწავლიან საკითხს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სამეურვეო საბჭო.

„ვერსიანიუსი“

ქუთაისში პარლამენტის შენობა უნებართვოდ აშენდა!

დარღვევები მშენებლობის პროცესში და არამიზნობრივად გახარჯული მილიონები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 12 ნოემბრის №75 დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის სახსრების მოპოვებისა და ხარჯვის მიზნობრიობის დასადგენად, აუდიტი ჩაატარა. საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო პროცედურების შესრულებისას, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მშენებლობის საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია ვერ წარუდგინა, რის გამოც აუდიტებმა, ფაქტობრივად, გაწეული და პროექტით გათვალისწინებული ხარჯი ვერ შეადარეს. ამავე მიზეზით, სახელმწიფო აუდიტორული შემოწმების შედეგად, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის სისწორე ვერ დადგინდა.

დარღვევა სამშენებლო ნებართვაში

2009 წლის 24 სექტემბერს საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება და პარლამენტის ადგილსამყოფლად, თბილისთან ერთად, ქუთაისიც განისაზღვრა, ცვლილების ამოქმედების ვადად კი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღე დადგინდა. 2009 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობის განკარგულება გამოიცა, რის საფუძველზეც ქუთაისში, პარლამენტის ახალი შენობის საპროექტო სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების ჩატარების მიზნით, 5 000 000 ლარი გამოყვეს.

2010 წლის 17 მარტს, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ქუთაისის მერიასა (დამკვეთი) და შპს „მენო ინტერნეიშენალს“ (შემსრულებელი) შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რაც ქუთაისში, პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობას ითვალისწინებდა. 2011 წლის 28 თებერვლამდე მშენებლობას ქუთაისის მერია, ხოლო 2011 წლის 1 ნოემბრიდან შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ აფინანსებდა. 2009 წლის 24 მარტს, საქართველოს მთავრობამ მიიღო №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.

დადგენილებით, ქუთაისის პარლამენტი მიეკუთვნება მეხუთე კლასის შენობას და განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობაა. ასეთი ობიექტების მშენებლობის ნებართვას კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი — სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ გასცემს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ახალი შენობა ნებართვის გარეშე აშენდა.

მეტიც, მშენებლობის პირველ სტადიაზე ქალაქთმშენებლობითი პირობები არ დადგენილა, რომლითაც მიწის ნაკვეთის სამშენებლო მიზნებისთვის გამოყენების პირობები უნდა დამტკიცებულიყო; მეორე სტადიაზე სამშენებლო-არქიტექტურული პროექტი არ შეთანხმებულა; მესამე სტადიაზე მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა და არც მეხუთე კლასის შენობა-ნაგებობისთვის განსაზღვრული სავალდებულო საექსპერტო შეფასება განხორციელებულა; მეტიც — სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში მითითებულია, რომ არ არსებობს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება; ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება; დოკუმენტების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილების საექსპერტო შეფასება.

ამ ხარვეზთან დაკავშირებით, 2012 წლის 5 ნოემბერს, სსიპ „ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტომ“ გამოსცა სპეციალური მითითება, რომლითაც შპს „სახელმწიფო მომსახურების სააგენტოს“ 45 დღის ვადაში, ქუთაისში, პარლამენტის სასახლის მშენებლობა კანონთან შესაბამისობაში უნდა მოეყვანა. ბიურომ მითითება ვერ შეასრულა, რის გამოც 2013 წლის 10 იანვარს 3 000 ლარით დაჯარიმდა. ამის შემდეგ, ბიუროს კიდევ სამთვიანი ვადა მისცეს, ანუ ეს ხარვეზი უკვე 2013 წლის 10 აპრილამდე უნდა გამოესწორებინა, მაგრამ ბიურომ ვერც ეს მითითება შეასრულა და 2013 წლის 30 აპრილს 9 000 ლარით დაჯარიმდა.

საჯარო და ქონების გაყიდვით მოზიდული სახსრები

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ საკუთარ კაპიტალში არსებული ქონების რეალიზაციას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული წესის საფუძველზე ახორციელებდა. ბიუროს საქმიანობის ანალიზიდან ჩანს, რომ საკუთარ კაპიტალში ასახული შენატანები ემსახურებოდა არა საწარმოს განვითარებას ან მოგების ზრდას, არამედ ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილით, ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობის აფინანსებდნენ.

2012 წლის 31 დეკემბრამდე, ბიუროს კაპიტალში არსებული 100 289 082 ლარის ღირებულების ქონებაა რეალიზებული, საიდანაც ბიურომ 197 073 534 ლარის შემოსავალი მიიღო. ცალკეულ შემთხვევებში, „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“, ქონების რეალიზაციას მყიდველის მხრიდან, მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულების პირობით ახორციელებდა, რის გამოც ქონებას საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებად აფასებდნენ.

ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე №98-ში არსებული 2 751 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ბიუროს კაპიტალში 115 542 ლარის ღირებულებით შეიტანეს, მაგრამ გასაყიდ ფასად 60 000 ლარი განსაზღვრეს; ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 10 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 790 000 ლარი იყო, გასაყიდ ფასად 336 469 ლარი განისაზღვრა; თბილისში, დოლიძისა და ბალანჩივაძის ქუჩებს შორის მდებარე 1 088 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება 868 000 ლარი იყო, გასაყიდი ფასი — 236 000 ლარი; თბილისში, აკურას №8-ში მდებარე 7 604 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება 4 657 500 ლარი იყო, გასაყიდ ფასად კი 2 929 527 ლარი განსაზღვრეს.

სახელმწიფო აუდიტის დასკვნას უამრავი ცხრილი ახლავს, სადაც დეტალურადაა ასახული ყველა ის შენობა-ნაგებობა თუ მიწის ნაკვეთი, რომელიც შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდა. „ვერსია“ რამდენიმე, მნიშვნელოვან მაგალითს განიხილავს: ს/ს „აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ აქციათა 100%-იანი პაკეტი 29 378 010 ცალი სახელობითი, ჩვეულებრივი აქციისგან შედგებოდა, რომლის ნომინალური ღირებულება 1 ლარი იყო. „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანების საფუძველზე, აქციების 100% შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალში ნომინალური, 29 378 010 ლარის ღირებულებით შეიტანეს. 2011 წელს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ 852 194 ლარის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატარა, რაც კაპიტალის თავდაპირველი განსაზღვრისას ასახული არ ყოფილა. სამედიცინო ცენტრის კაპიტალში არ ასახულა მის ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ნაგებობების ღირებულება — 66 100 ლარი.

2011 წლის 10 ნოემბერს, „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“, ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის 30 296 304 ცალი აქცია (ნომინალური ღირებულება 1 ლარი), შპს „ჯორჯიან მედს“ 6 670 000 ლარად მიჰყიდა. მოთხოვნის მიუხედავად, „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ვერ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სადაც გაყიდვის მომენტისთვის, „ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ რეალური, საბაზრო ღირებულება იქნებოდა განსაზღვრული.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თანხმობის საფუძველზე, „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ 5%-იანი წილი, აუქციონის გარეშე, 3 400 000 ლარად გაყიდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

დატბორილი სახლები, დამეწყრილი საფლავები და აჭარა კვლავ სტიქიის მოლოდინში

აჭარა სტიქიური უბედურების ზონად იქცა. ბათუმში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღწერა უკვე დაიწყო. პრემიერის დავალებით შექმნილი საგანგებო შტაბი მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადადის.

უხვი ნალექის შედეგად დაიტბორა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, განადგურდა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი, დაიღუპა შინაური ფრინველიც. მოსახლეობა მიყენებულ ზიანს სანიაღვრე არხების არარსებობას უკავშირებს.

მალაზონიას ქუჩა ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთი იყო. დატბორილი ქუჩის გაწმენდა მხოლოდ 22 სექტემბერს, დღის მეორე ნახევარში მოხერხდა.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ წევრები, ბათუმში მომხდარი სტიქიის მასშტაბებს „ფასადურ“ მშენებლობებს უკავშირებენ.

„ბათუმში მოსული ნალექის შედეგად მიყენებული ზიანი არასწორად დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგია. აჭარის რეგიონში, განსაკუთრებით ბათუმში, ბოლო წლებში, მრავალმილიონიანი ინვესტიციები განხორციელდა, რომელთა უკანაც წამყვანი საინვესტიციო ჰოლდინგები დგას. სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა შექმნას საინვესტიციო კლიმატი და პირობები არა ფასადური სილამაზისთვის, არამედ იმისათვის, ჩადებული ინვესტიციები მდგრადი და მზადრი იყოს. მიგვაჩნია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს ინვესტიციები და, ამასთანავე, რაციონალურად მოხდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა“.

სტიქიის ზონაში ჩავიდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ კოპაძე. მისი განცხადებით, პრემიერ-მინისტრის დავალებით თბილისიდან ჩავიდნენ მეტეოროლოგები და გეოლოგები, რათა ადგილობრივებს დაეხმარონ. ზურაბ კოპაძე, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელი მინდია ჯანელიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი ბათუმში, გუდიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩებზე წყალდიდობის შედეგებს გაეცნენ, ამოტუმბვის სამუშაოებს დაესწრნენ და დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდნენ.

24-25 სექტემბერს მოსალოდნელია ამინდის გაუარესება. ამ ეტაპზე მობილიზებულია ყველა საჭირო ტექნიკა, ზარალის მინიმუმამდე დასაყვანად.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით შავლიაშვილის განმარტებით, საგზაო დეპარტამენტის სამსახური ადგილზე ყველა საჭირო ტექნიკით მობილიზებულია. სტიქიის ზონაში იმყოფებიან ასევე სპეციალისტები, რომლებიც ადგილობრივ მთავრობას ზარალის აღწერაში დაეხმარებიან. სტიქიას აჭარაში ასევე 25 სექტემბრისთვის ვარაუდობენ და სამინისტრო მზადაა, პრევენციულ ღონისძიებებში ჩაერთოს.

სტიქიამ აჭარის სოფლებიც დააზიანა. მაგალითად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში ჩამოწოლილმა მეწყერმა საფლავი წაიღო. ხელვაჩაურის გამგებლის მოადგილის, ნოდარ ხალვაშის ინფორმაციით, ძლიერი წვიმის შედეგად ჩამოწოლილმა მიწის მასამ სოფლის სასაფლაოს კედელი დააზიანა. ერთი საფლავი მეწყერმა ჩაიტანა, თუმცა ჭირისუფალმა სასაფლაოს აღდგენა მოახერხა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, კაპრეშუმში, ახალსოფელსა და ორთაბათუმში წარმოიშვა მეწყრული ზონები.

აჭარაში ჩავიდნენ საქართველოს პრეზიდენტი — გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ბათუმის სამაშველო განყოფილების მაშველებმა, ბათუმის მერიის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ჯგუფებმა და სხვა შესაბამისმა სამსახურებმა ოპერატიულად მოახდინეს საცხოვრებელი სახლებიდან მოსახლეობის ევაკუირება, წყალში ჩარჩენილი ავტომანქანებიდან მოსახლეობის, მათ შორის, ბავშვების გადმოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა.

„ვერსიანიუსი“

ქუთაისში პარლამენტის შენობა უნებართვოდ აშენდა!

9.5 სამშენებლო სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხები

ქვემოთ მოცემული ცხრილში გაანალიზებულია თვეების მიხედვით ქ. ქუთაისის მერიისა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ შპს „მენო ინტერნეიშნლიზეთის“ ანაზღაურებული და შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებების თანხების შედარება:

	ორგანიზაციის დასახელება	თვე	შესრულებული სამუშაო ნაზარდი ჯამით	გადახდა ნაზარდი ჯამით	აგანი (ვალდებულება)
2010 წელი	ქუთაისის მერია	მარტი	-	1,500,000	1,500,000
	ქუთაისის მერია	აპრილი	2,696,378	6,500,000	3,803,622
	ქუთაისის მერია	მაისი	6,478,122	6,500,000	21,878
	ქუთაისის მერია	ივნისი	9,210,944	6,500,000	(2,710,944)
	ქუთაისის მერია	ივლისი	13,893,514	14,500,000	606,486
	ქუთაისის მერია	აგვისტო	19,246,739	41,775,255	22,528,516
	ქუთაისის მერია	სექტემბერი	26,329,680	50,775,255	24,445,575
	ქუთაისის მერია	ოქტომბერი	29,172,385	55,047,833	25,875,448
	ქუთაისის მერია	ნოემბერი	30,523,219	56,089,803	25,566,584
	ქუთაისის მერია	დეკემბერი	35,715,080	62,089,803	26,374,723
2011 წელი	ქუთაისის მერია	იანვარი	41,263,248	65,589,803	24,326,555
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	თებერვალი	45,552,399	70,997,807	25,445,408
	ქუთაისის მერია	მარტი	45,906,086	70,997,807	25,091,721
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მარტი	49,777,760	70,997,807	21,220,047
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აპრილი	51,581,914	83,594,916	32,013,003
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მაისი	62,623,642	89,466,590	26,842,948
	ქუთაისის მერია	მაისი	62,623,642	89,820,277	27,196,635
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივნისი	70,406,418	95,480,277	25,073,859
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივლისი	79,196,277	104,745,651	25,549,373
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აგვისტო	90,831,087	114,745,651	23,914,564
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	სექტემბერი	98,696,921	135,890,213	37,193,293
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ოქტომბერი	103,218,324	142,832,888	39,614,565
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ნოემბერი	103,218,324	160,832,888	57,614,565
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	დეკემბერი	112,574,860	168,659,310	56,084,450
2012 წელი	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	იანვარი	121,176,446	177,223,154	56,046,708
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	თებერვალი	124,789,645	177,223,154	52,433,509
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მარტი	130,287,832	177,223,154	46,935,322
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აპრილი	139,705,626	197,292,144	57,586,518
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მაისი	165,567,156	209,286,756	43,719,600
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივნისი	180,314,343	215,913,605	35,599,262
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივლისი	189,297,128	221,313,605	32,016,477
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აგვისტო	189,297,128	241,313,605	52,016,477
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	სექტემბერი	189,297,128	268,313,605	79,016,477
	შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ოქტომბერი	189,297,128	282,413,605	93,116,477

მე-5 გვერდიდან

2012 წლის 9 თებერვლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, „ანაკლია დეველოპმენტის“ 5%-იანი წილის ნომინალური ღირებულება ბიუროს კაპიტალში 7 652 ლარით შეიტანეს, ხოლო 2012 წლის 13 თებერვლის აუდიტორული დასკვნით, იმავე ქონების გასაყიდი ფასი 3 200 000 ლარით განისაზღვრა. თუმცა აუდიტორის შეფასება გონივრულ და დასაბუთებულ გათვლებს არ ეყრდნობა.

„საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დირექტორის ბრძანებით, „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ საწესდებო კაპიტალიდან 3 400 000 ლარი ამოიღეს და „ანაკლია დეველოპმენტის“ საწესდებო კაპიტალში შეიტანეს. ეს ნიშნავს, რომ ბიუროს კაპიტალში 7 652 ლარად შეტანილი „ანაკლია დეველოპმენტის“ 5%-იანი წილი, რომელიც 3 400 000 ლარად გაყიდეს, ისევ „ანაკლია დეველოპმენტის“ საწესდებო კაპიტალში ასახეს. კაპიტალის გაზრდის შემდეგ, „ანაკლია დეველოპმენტის“ 5%-იანი წილის ნომინალური ღირებულება 177 269 ლარი გახდა.

„სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ს/ს „თბილისის ექსპერიმენტული სამშობიარო სახლის“ აქციათა 100%-იანი წილი 788 000 ლარად გაასხვისა. სახელმწიფო აუდიტორული დასკვნით, სარეალიზაციო ფასი არასწორადაა განსაზღვრული, რადგან საწარმოს ღირებულება ასე განისაზღვრა: აქტივები — 539 429 აშშ დოლარი, ვალდებულებები — 95 065 ლარი, წმინდა აქტივები — 440 000 აშშ დოლარი. ამ გათვლაში აქტივები აშშ დოლარშია გამოსახული, ხოლო ვალდებულებები — ქართულ ლარში, სწორად დათვლის შემთხვევაში, აქტივების წმინდა ღირებულება 788 000-ის ნაცვლად, 869 920 ლარით უნდა განესაზღვრათ. აქედან გამომდინარე, გასაყიდი ქონების საწყისი ფასი 850 000 ლარი იყო, რომელიც 870 000 ლარად გაყიდეს, მაგრამ ღირებულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, ამ ქონების საწყისი ფასი 850 000-ის ნაცვლად, 869 920 ლარი უნდა ყოფილიყო.

დარღვევები საპროექტო სამუშაოებში

ქუთაისში, ახალი პარლამენტის შენობის მშენებლობისას, საინჟინრო და საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ქუთაისის მერიამ, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ჯამში 6 442 088 ლარის ხელშეკრულებები გააფორმა შპს „ტუოვთან“, შპს „ჯეოლენდთან“ (თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას ძმის კომპანია, — ავტ.), შპს „ტუსკი გეოლოგი გრუპთან“, ესპანურ არქიტექტურულ კომპანია CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS S.I-სთან, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან“. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მერიასა და CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS S.I-ს შორის, არქიტექტურული სამუშაოების შესრულებაზე, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღება-ჩაბარების აქტი არ შედგენილა, საპროექტო სამუშაოებზე 6 120 704 ლარი მაინც ანაზღაურებულია.

პარლამენტის შენობის პროექტირება მთლიანად ქუთაისის მერიამ დააფინანსა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდილია 6 442 088 ლარი, ხოლო ჯამში სახელშეკრულებო თანხა 6 990 810 ლარი იყო. გადარიცხულსა და სახელშეკრულებო თანხებს შორის სხვაობა იმან გამოიწვია, რომ CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS S.I-ს 529 980 ლარი ვერ აუნაზღაურეს, ხოლო შპს „ტუოვმა“ 18 742 ლარით ნაკლები ღირებულების სამუშაოები შეასრულა. შპს „ტუოვსა“ და ქუთაისის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას სამშენებლო ტერიტორიის უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა უნდა განეხორციელებინა, რაც ხელშეკრულების მიხედვით, 181 621 ლარი ჯდებოდა. ამავე კომპანიას შენობის საფუძველში ბურღვა-გატენითი ხარჯების ტექნიკური ზედამხედველობაც ევალებოდა, რომლის საერთო ღირებულება 44 215 ლარი იყო. ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ჯეოლენდს“ ტოპოგრაფიული-აზომვითი სამუშაოების შესრულება, შპს „ტუსკი გელოგი გრუპს“, სამშენებლო უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა უნდა განეხორციელებინა, ხოლო სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ სეისმური საშიშროების დეტალური შეფასება ევალებოდა.

2009 წლის 16 დეკემბერს, ქუთაისის მერიასა და შპს „საქმილსადენმშენს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, დიდების მემორიალის დემონტაჟსა და ნარჩენების გატანის მომსახურებას ითვალისწინებდა. სახელშეკრულებო ღირებულება 600 000 ლარი იყო, მაგრამ კომპანიამ შესრულებულ სამუშაოებზე 3 მიღება-ჩაბარების აქტი წარადგინა, რომელთა ჯამური ღირებულება 500 000 ლარი იყო, რაც ქუთაისის მერიამაც დაადასტურა. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი მხოლოდ 470 000 ლარია ანაზღაურებული. მიუხედავად იმისა, რომ ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებზე, ინსპექტირების ჯგუფის მიერ, ამ სამუშაოების დამაკმაყოფილებლად შესრულებაზე გაცემულ დასკვნას ხელს ჯგუფის არცერთი წევრი არ აწერს, აღნიშნული სამუშაო ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა შესრულებულად მაინც ჩათვალა.

ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოები შპს „მენო ინტერნეიშენალმა“ შეასრულა. სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ამ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასა და მასში შეტანილ ცვლილებებში განსაზღვრული ღირებულებები არანაირ გათვლებს არ ემყარება. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოებზე წინასწარ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების არარსებობის გამო, სახელშეკრულებო თანხა არ შეესაბამება ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის რეალურ ღირებულებას. შესაბამისად, გაუგებარია, საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოებზე, მოგების რა მარჯა ჰქონდა გათვალისწინებული შპს „მენო ინტერნეიშენალს“.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობაზე, შპს „მენო ინტერნეიშენალის“ მიერ წარდგენილი ფორმა №2-ების ჯამური თანხა 237 210 498 ლარი, ხოლო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნებით, დადასტურებული სამუშაოს მოცულობა 189 297 128 ლარი იყო. სხვაობა — 47 913 370 ლარი, ექსპერტიზის დასკვნების შედეგად შემცირებული თანხაა. სამუშაო შესრულებულად მას შემდეგ ითვლება, რაც ექსპერტიზის ბიურო ამ სამუშაოზე დასკვნას გასცემს.

შპს „მენო ინტერნეიშენალთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვიურად მიღებულად ითვლება, რაც ქუთაისის მერის ბრძანებით, მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმდება. შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ევალებოდა. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის, „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნებით, 189 297 128 ლარის სამუშაო შესრულდა, ხოლო ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა ინსპექტირების აქტი მხოლოდ 96 356 581 ლარის სამუშაოზე გააფორმა.

საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოებზე, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვის მიზნით, ქუთაისის მერიასა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის, 2010 წლის 23 დეკემბერს, 200 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, კვლევა 2010 წლის 6 დეკემბერს დაიწყო, ხოლო 2010 წლის 31 დეკემბერს, ქუთაისის მერიამ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ 149 274 ლარი აუნაზღაურა. ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნების შემოწმებისას, სახელმწიფო აუდიტორებმა აღმოაჩინეს, რომ პირველი დასკვნა 2011 წლის 23 თებერვალს გაკეთდა, თუმცა ქუთაისის მერიის მიერ, ექსპერტიზის სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი ორი თვით ადრე, 2010 წლის 31 დეკემბერს გაფორმდა. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა და რეალურად, მათი გაფორმების მომენტში, ყველა ის სამუშაო, რომელიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ჯეროვნად არ შესრულებულა.

დარღვევები სხვა სამშენებლო ხარჯებში

ესპანურ არქიტექტურულ კომპანია CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS S.I-ს, ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სკულპტურების კონცეპტუალური დიზაინით უზრუნველყოფა, სკულპტურების ფუნდამენტის პროექტის მომზადება და მატერიალური (ბრინჯაო) უზრუნველყოფა ევალებოდა ესპანეთის ქალაქ ვალენსიის პორტამდე. ამ ხელშეკრულების ჯამური თანხა 250 000 ევრო იყო, რაც ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებული კურსით, 583 300 ლარს უტოლდებოდა. სახელშეკრულებო და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა, სავალუტო კურსთაშორის ცვლილებამ გამოიწვია.

შპს „ტოპ ტრანს სერვისს“, ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ესპანეთის ქალაქ ვალენსიიდან ქუთაისში, 5 ცალი, 7-მეტრიანი ანგელოზის ქანდაკების ტრანსპორტირება ევალებოდა. ამ ხელშეკრულების ღირებულება 13 000 ევროთი განისაზღვრა, რაც ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებული კურსით, 30 143 ლარი იყო. სახელშეკრულებო და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა, სავალუტო კურსთაშორის ცვლილებამ გამოიწვია.

შპს „აუთდორჯისა“ და ქუთაისის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიას ქუთაისში მდებარე მონიტორზე, სამი თვის განმავლობაში, პირდაპირი ეთერის გაშვება ევალებოდა. სახელშეკრულებო ღირებულება 4 000 ლარი იყო. შპს „ინოტექსსა“ და ქუთაისის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიას პარლამენტის მშენებლობის ტერიტორიაზე, სამი ინტერნეტ IP-კამერა უნდა დაემონტაჟებინა და ვებ-გვერდზე ვიდეონაკადები განეთავსებინა. სახელშეკრულებო და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა იმიტომ დაფიქსირდა, რომ შპს „ინოტექსმა“ 4 037 ლარით ნაკლები ღირებულების სამუშაო შეასრულა.

ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები შპს „კავკასუს როუდ პროჯექტმა“ შეასრულა. შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსა“ და შპს „კავკასუს როუდ პროჯექტს“ შორის, სამშენებლო სამუშაოებზე ხელშეკრულება 2011 წლის 25 ივლისს გაფორმდა, რომლის საორიენტაციო ჯამური ღირებულება 37 000 000 ლარი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტირება და სამშენებლო სამუშაოები პარალელურ რეჟიმში ხორციელდებოდა, სამუშაოების მოცულობების დაზუსტებისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ, მხარეებს შორის შეთანხმების შედეგად, ხელშეკრულების დანართი უნდა გაფორმებულიყო, სადაც შესრულებული სამუშაოების დაზუსტებული მოცულობები და მათი მთლიანი ჯამური ღირებულება უნდა ასახულიყო. მხარეებს შორის, დანართი-შეთანხმება ორჯერ გაფორმდა და საბოლოოდ, ხელშეკრულების საორიენტაციო ჯამურ ღირებულებად, 37 000 000 ლარის ნაცვლად, 38 000 000 ლარი განისაზღვრა.

სახელმწიფო აუდიტების დასკვნის მიხედვით, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებასა და მასში შეტანილ ცვლილებებში განსაზღვრული ღირებულებები დასაბუთებულ გათვლებს არ ემყარება. მეტიც, სამშენებლო სამუშაოებზე წინასწარ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების არარსებობის გამო, სახელშეკრულებო თანხა არ შეესაბამება თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის რეალურ ღირებულებას. არსებული შეზღუდვიდან გამომდინარე, უცნობია, მოგების რა მარჯა ჰქონდა გათვალისწინებული შპს „კავკასუს როუდ პროჯექტს“ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებზე.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მიერ წარდგენილი ფორმა №2-ების ჯამური თანხა 37 614 059 ლარი იყო, ხოლო „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნებით, დადასტურებული სამუშაოების მოცულობა 37 461 775 ლარს შეადგენდა. სხვაობა — 152 284 ლარი, ექსპერტიზის დასკვნების შედეგად შემცირებული თანხაა. შპს „კავკასუს როუდ პროჯექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები, ყოველთვიურად მიღებულად ითვლებოდა მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ. ქუთაისის მერის ბრძანებით, შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება, ამ შემთხვევაშიც ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ევალებოდა.

„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნების მიხედვით, ქუთაისის პარლამენტის სასახლის მშენებლობაზე 37 461 775 ლარის სამუშაო შესრულდა, ხოლო ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები მხოლოდ 29 610 195 ლარის სამუშაოებზე გაფორმდა. დარჩენილი 7 851 580 ლარის სამუშაო კი „კავკასუს როუდ პროჯექტის“ ქვეკონტრაქტორმა შპს „თბილმა სახლმა“ შეასრულა, რაზეც ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა არ გაცემულა. სახელმწიფო აუდიტების დასკვნის მიხედვით, ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე ინსპექტირება მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელა.

ვერსიანიუსი

21 წლის ახალგაზრდის მკვლელობაში ბრალდებულები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

2013 წლის დეკემბერში მოკლული 21 წლის ჯემალ შელიას ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

როგორც შელიას ახლობლებმა აღნიშნეს, მოსამართლე გიორგი დარახველიძის გადაწყვეტილებით, მკვლელობაში ბრალდებულები — კახაბერ, ტარიელ და ზურაბ წურწუმიები და აკაკი გვასალია გაათავისუფლეს. ახლობლების ინფორმაციით, ერთ-ერთი ბრალდებული ტარიელ წურწუმია ამნისტირებული იყო და სასჯელს მკვლელობის მცდელობისთვის იხდიდა. ასევე, ოთხივე ერთმანეთის ოჯახის წევრი და ნათესავია.

მკვლელობა გასული წლის 24 დეკემბერს, გლდანის მეორე მიკრორაიონში მოხდა. შელიების ინფორმაციით, საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, შელიას მეგობრის დედა ვაჭრობდა. მას ძმებმა წურწუმიებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მისი შვილი და ჯემალ შელია კი, გამყიდველს გამოესარჩლნენ. **„წურწუმიებმა ამ დაპირისპირების დროს სასტიკად სცემეს ახალგაზრდები. ჯემალ შელია ვითარების განმუხტვას შეეცადა, მაგრამ სასტიკად სცემეს თავის არეში და გარდაიცვალა“,** — აცხადებენ შელიას ახლობლები.

ჯემალ შელიას დედა სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს მას დაუკავშირდა ერთ-ერთი ბრალდებულის ცოლი და მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ ესაუბრა: **„მკვლელის ცოლმა შემომითვალა, ისეთი კაცი გვყავს, ამათ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებენო. რა სამართალზეა საუბარი — 21 წლის შვილი მომიკლეს, მკვლელები კი დარბაზიდან გაათავისუფლეს“.**

„ინტერპრესნიუსი“

„სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ომი თუ დაიწყო, რუსეთი ჩვენ ტერიტორიაზე შემოიჭრება“

ყოფილი პრემიერი თენგიზ სიგუა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს აფასებს და საქართველოს ახალ გამოწვევებზე საუბრობს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

უკრაინის აღმოსავლეთში საბრძოლო შეტაკებები არ წყდება. რუსეთი მეზობელი ქვეყნის დესტაბილიზაცია-დანაწევრებას მცდელობას არ აკლებს. რა გავლენას ახდენს ეს პროცესები საქართველოზე? „ვერსიას“ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თენგიზ სიგუა ესაუბრება.

— უკრაინა ბრძოლას აგებს. ყირიმი დაკარგა. პროროშენკო დათანხმა, რომ დონბასს განსაკუთრებულ სტატუსს მიანიჭებს. მოსკოვმა კიევთან თამაში მოიგო — განსაკუთრებული სტატუსით, დონბასი მოსკოვის გავლენის ქვეშ მოექცევა, რადგან იქ, ძირითადად, რუსულენოვანი მოსახლეობაა.

— რამ გამოიწვია ასეთი შედეგები?

— ბოლო წლებში, ვინც კი უკრაინის სათავეში მოვიდა, კორუფციაში ჩაეფლო, ან მას სათანადოდ ვერ ებრძოლა. ქვეყნის ძლიერი სამრეწველო ცენტრის, დონეცკის ჩამოცილებით უკრაინა ბევრს დაკარგავს. იმედია, საბოლოოდ ასე არ მოხდება. დაახლოებით ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ექნება, რაც კიევისთვის მარცხია. საინტერესო ანალიზი გავაკეთე ბოლო 30 წლის განმავლობაში ევროპა-ამერიკასა და ჯერ სსრკ-ს, მერე კი რუსეთის დაპირისპირებაზე. ორი წლის წლის წინ, პოლიტიკური ანგარიში 8:0 იყო დასავლეთის სასარგებლოდ — სოცბანაკის, მერე სსრკ-ს დაშლა, გერმანიიდან ჯარების გამოყვანა, ბერლინის კედლის დანგრევა... ეს ყველაფერი დასავლეთის მოგება იყო. აი, შარშანდლიდან მოყოლებული, უკვე სამჯერ მოიგო რუსეთმა: სირია, ყირიმი და ახლა დონეცკი-ლუგანსკი.

— დასავლეთის ნაკლებად გამოხატულმა მხარდაჭერამ რა როლი შეასრულა უკრაინაში?

— რატომ არ ენდობა დასავლური სამყარო რუსეთს? ბოლო საუკუნეში რუსეთს უმაღლესი დონის 70-ზე მეტ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე აქვს ხელი მოწერილი. დაახლოებით 80% ასეთი შემთხვევაა — ხელს აწერს დოკუმენტს და არ ასრულებს. ყირიმი თავის დროზე ნიკიტა ხრუშჩოვმა საბჭოთა კანონების გვერდისავლით გადასცა რუსეთიდან უკრაინას. იმჟამინდელი სსრკ-ს კანონებით, მხოლოდ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს ჰქონდა უფლება, ერთი რესპუბლიკის ტერიტორიები მეორე რესპუბლიკისთვის გადაეცა. ხრუშჩოვმა შეატყო, რომ სსრკ-ს უმაღლეს საბჭოზე ამ საკითხს ვერ გაიტანდა, ამიტომ კანონების დარღვევით რუსეთის უმაღლესი საბჭოს სესია ჩაატარა და იქ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონის გადაცემაზე; ეს უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით მოხდა, მაგრამ 1995 წელს, ინგლისის, აშშ-ს, საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლები ჩავიდნენ კიევში და სთხოვეს: უარი თქვი ატომური იარაღის წარმოება-შენახვაზე — ჩვენ საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტორები ვართო; ოთხივე სახელმწიფომ მოაწერა ხელი. კიევი დათანხმდა, ატომურ იარაღზე უარი თქვა და ხელშეკრულებას დაეყრდნო. იფიქრა, ჩემი საზღვრები დაცული იქნებაო, მაგრამ ხელშეკრულება რუსეთმა დაარღვია. ამას დასავლეთის გარკვეული რეაგირება მოჰყვა — არ აღიარეს ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი განცხადებაა. საქმე ისაა, რომ უკრაინის სამხედრო პოტენციალი რუსეთისას ძალიან ჩამორჩება. დასავლეთი შეიარაღებითაც კი აქტიურად არ დახმარებია. უკრაინას საშუალება არ აქვს, რუსეთს ეომოს, თუ დასავლეთი ძლიერ სამხედრო დახმარებას არ გაუწევს. მცირე დახმარებას სამხედრო ოპერაციებზე მნიშვნელოვანიზე გავლენა არ შეუძლია.

— რა გავლენას ახდენს ეს პროცესები საქართველოზე?

— რუსეთი თავხედდება. ახლა ყირიმი მიითვისა. ყვირის დასავლეთი — არ ვცნობო, მაგრამ მოსკოვის პოზიციაა: შენ ნუ სცნობ, მე წავიღე და ჩემიაო. იაპონიას საბოლოოდ უთხრა უარი იმ ოთხ კუნძულზე, რომელზედაც მოლაპარაკებები მიდიოდა და თითქოს მოსკოვს უნდა დაებრუნებინა. ახლა აცხადებენ, იაპონიამ დაივიწყოს ის კუნძულებიო. იცით, ყველაზე მეტად რისი მეშინია? სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ომი თუ დაიწყო, რუსეთი აუცილებლად სომხეთის მხარეზე გამოვა. ჩვენს საზღვართან ახლოს გიუმრის ძლიერი სამხედრო ბაზაა. რუსეთს ჰაერიდან მძიმე ტექნიკის მიწოდება უჭირს, ამიტომ საქართველოში შემოვა. სომხეთზე რუსულ ტვირთებს ვატარებთ, მაგრამ სამხედრო დანიშნულებისას არა, ამიტომ რუსეთი ძალისმიერი მეთოდით, ცხინვალის რეგიონიდან გაჭრის გზას. ეს ჩვენთვის ახალი გამოწვევა იქნება.

— ამ ფონზე, როგორ აფასებთ საქართველოს მთავრობის პოზიციებს თუნდაც უკრაინის მხარდაჭერის კონტექსტში?

— უკრაინას ცალსახად მხარი უნდა დავუჭიროთ. აშშ-სა და ევროპის პოზიციაზე უნდა ვიყოთ, რასაც აკეთებენ, იგივე გავაკეთოთ. თუ ვინმე დაგვიცავს, ისევ ევროპა და აშშ-ა.

პატიმარი №0578

„კრავასოსები“ ნაციონალურ ციხეებში

მარღანია, ქვარცხავა, ციხის უფროსის, ღაშა ბრეგვაძის ნათლული „ნაზარა“, „ღვინო“, მჭედლიძე... — „პალაჟენეცებისა“ და „მაყურებლების“ სია

ბოლო დროს კვლავ აქტუალური გახდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მაყურებლების თემა. საპარლამენტო ოპოზიცია ღიად აპელირებს, რომ ვითარება შეიცვალა და მას, ციხეებში, ციხის ადმინისტრაცია კი არა, უკვე კრიმინალური ავტორიტეტები აკონტროლებენ. ამ სტატიაში პირდაპირ ვწერთ რეალური პიროვნებების სახელებსა და გვარებს. მიზანი ერთადერთია — იქნებ, ამის შემდეგ მაინც დაერქვას ყველაფერს სახელი და დაიმსხვრეს მითი, თითქოს, წლების განმავლობაში ზონებზე „მაყურებლები“ არ იყვნენ. ამ სტატიის მიზანი ისიცაა, ვასწავლოთ (სწორედ რომ ვასწავლოთ!) დღევანდელ ხელისუფლებას — გადახედონ ძველი პატიმრების პირად საქმეებს, სადაც შავით თეთრზე, წერია, ვინ რას წარმოადგენს. მაგალითად, „მაყურებლებს“ პირდაპირ უწერიათ — „მაყურებელი“, ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაში მყოფ პატიმრებს (ე.წ. ჩამშვებებს) სპეციალური აღნიშვნა აქვთ. ასევე, სპეციალური ნიშნული აქვთ ე.წ. ქათმებს — ჩვეულებრივ საკანში „ქათმის“ მოხვედრამ, შესაძლოა, ზონაზე ბუნტიც კი გამოიწვიოს, ამიტომ ერთი ზონიდან მეორეზე გადაყვანილი ასეთი ტიპის პატიმარი ავტომატურად „საქათმეში“ ხვდება. ეს მწარე რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. სტატიაში მოყვანილ თითოეულ ფაქტსა თუ გვარზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებთ და... რუსთავის №17 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების მაგალითზე გიამბობთ, იმ დროზე, როცა ნაციონალურ ხელისუფლებას არაფერი ემუქრებოდა და თავს უძლეველად მიიჩნევდნენ.

2011 წელს ანუ მაშინ, როცა რუსთავის №17 დაწესებულების დირექტორი ბაჩანა ახალაიას უახლოესი მეგობარი ღაშა ბრეგვაძე გახლდათ, ზონა სამ დამოუკიდებელ დაწესებულებად იყო გაყოფილი: ახალი, ძველი და ე.წ. ეკლესიის ზონა. სამივე დაწესებულება გადატიხრული იყო. ზონების პატიმრებს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ. იყო გამონაკლისებიც, როცა თვეში ერთხელ, ბრეგვაძის გადაწყვეტილებით, რომელიმე ახალი დაწესებულების სტადიონზე საფეხბურთო მატჩი იმართებოდა. მაშინ სამივე ზონიდან დაახლოებით ასამდე პატიმარი გადადიოდა სხვა ზონაზე და შეეძლო, სხვა დაწესებულების მსჯავრდებულებს შეხვედროდა.

სამივე დაწესებულებას ჰყავდა „მაყურებელი“, რომელიც „პალაჟენეცს“ ექვემდებარებოდა. „პალაჟენეცი“, როგორც წესი, ძველ ზონაზე „ცხოვრობდა“ და იქიდან მართავდა სამივე დაწესებულებას. 2011 წლისთვის რუსთავის №17 დაწესებულების „პალაჟენეცი“ მარღანია იყო, ახალ ზონაზე მაყურებელი გიორგი ქვარცხავა გახლდათ, ძველ ზონაზე — რეზო ნაზარიშვილი (მეტსახელად ნაზარა), ეკლესიის ზონაზე კი დავით ღვინიაშვილი (მეტსახელად ღვინო). ნაზარიშვილის მაყურებლობას ბევრი ამრეზით უყურებდა, რადგან ბრეგვაძის ნათლული იყო და მაყურებლის სტატუსი სწორედ ამიტომ მისცეს. მარღანიას გადაყვანის შემდეგ, პალაჟენეცი სწორედ ნაზარა გახდა და მასთან ერთად ეს „ტიტული“ ირაკლი მჭედლიძესაც ერგო. სწორედ ამის შემდეგ შეარქვეს პატიმრებმა ნაზარიშვილი-მჭედლიძის დუეტს „კრავასოსები“ და ცდილობდნენ, მათთან საქმე არ ჰქონოდათ. ისინი კი ბრეგვაძის ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდნენ და სამაგიეროდ, კვირაში რამდენჯერმე ზონაზე ქალების შეყვანისა და სუშის ჭამის უფლება ჰქონდათ, რომელიც ასევე ბრეგვაძის მითითებით შედიოდა ზონაზე.

ამას გარდა იყვნენ „ობშიაკის“ მაყურებლები, რეგიონების მაყურებლები, ტელეფონების მაყურებლები... აბსურდია, თითქოს ნაციონალების დროს ზონებს მაყურებლები არ ჰყავდა. უბრალოდ, მათ ძირითად ნაწილს მაშინ ადმინისტრაცია აკონტროლებდა. ერთადერთი დაწესებულება, სადაც ნაციონალების დროს მაყურებელი არ იყო, გლდანის №8 საპყრობილე გახლდათ. მაყურებელი ჰყავდა ტუბზონასაც და „რეზალინიცასაც“. თვეში მინიმუმ ერთხელ იმართებოდა ე.წ. ბლატატას „სხოდკები“, სადაც მრავალ „საჭირბოროტო“ საკითხზე მსჯელობდნენ. სწორედ ბრეგვაძის დროს არ იხურებოდა ახალ ზონაზე ნომერმეორე საკანი, სადაც მაყურებლები ისხდნენ და ცნობისათვის, მაყურებლები ამ ზონაზე დღემდე ამ საკანში არიან.

რაც შეეხება რეგიონების მაყურებლებს — თბილისის რეგიონის მაყურებელი ვანჩო ჩერქეზიშვილი იყო, სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის მაყურებელი გია დანელია, რუსთავის რეგიონის — გიორგი მელიქიძე (მეტსახელად მელიქა), ქუთაისის რეგიონს პატიმარი მეტსახელად „პაჭიკიჩი“ უყურებდა... და ეს ხდებოდა სწორედ მაშინ, როცა სათავეში ნაციონალური მოძრაობა იყო და ოფიციალურად მინისტრად ხათუნა კალმახელიძე ითვლებოდა, სინამდვილეში კი სასჯელაღსრულების დაწესებულებას დეპარტამენტის შეფი დავით ჭაკუა აკონტროლებდა მისი მოადგილის, გაგა მკურნალიძის ხელით.

თუ გახსოვთ, სწორედ ღაშა ბრეგვაძის ცემის გამო ატყდა ერთი ამბავი, პატიმრებმა ციხის ყოფილი დირექტორი არ დაინდესო. იმას არავინ ამბობს, გალეშილი ბრეგვაძე ზონაზე მოტოციკლით (მისი სუსტი წერტილია მოტოციკლი) რომ შემოვარდებოდა ხოლმე, დერეფნებში დარბოდა და ბოლო ხმაზე ღრიალებდა: „ზონა ჩემია, ჩემი“... ან იმით რატომ არავინ დაინტერესდა, რომ რეზო ნაზარიშვილის მიერ გამწარებული ასეულობით პატიმრიდან რამდენიმემ თავისუფლებაზე გასული ნაზარა მოძებნა და ყური მოაჭრა?! ხომ მარტივი გადასამოწმებელია, მოძებნეთ, ნახეთ, დაინტერესდით... მაგრამ არა, ეს წამგებიანია, რადგან ამით აღიარებული იქნება, რომ სისტემაში მაყურებელი მუდმივად არსებობდა... მუდმივად იარსებებს და ამას ხელს ვერცერთი მინისტრი ვერ შეუშლის და ვერ მოახერხებს, ზონა მაყურებლის გარეშე დატოვოს. მთავარია, რამდენად მართული იქნება მაყურებელი და თუ ისე გამოვა, რომ მას პატიმრები გაშიფრავენ და ისიც ზონაზე მხოლოდ ადმინისტრაციის ინტერესებს გაატარებს, იგივე დაემართება, რაც ნაზარას...

P.S. სია, რა თქმა უნდა, არასრულია და მაყურებლების შესახებ ინფორმაცია სხვა ზონებიდანაც გვაქვს. ნაზარიშვილის დარი მაყურებელი რუსთავის №16 დაწესებულებასაც ჰყავდა და თავისუფლებაზე კარგი დღე არც მას დაადგა. ესეც მარტივი გადასამოწმებელია.

ქეთი ორჯონიკიძე აშშ-ში „ამომავალ ქალ რეჟისორად“ მონათლეს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ქეთი ორჯონიკიძის შესახებ Facebook-ით შევიტყვე. წერდა, მალე დასრულდება ჩემი ფილმი „ნანა“, რომელიც შორეულ აშშ-ში მყოფი ემიგრანტი ქართველი ქალის ცხოვრებას ეხებაო... „ნანა“ დასრულდა და მისი პრემიერაც შედგა. ბევრი აღარ მიფიქრია, ქეთი ორჯონიკიძეს კითხვები გავუგზავნე... ქეთიმ, როგორც მისმა ბევრმა თანატოლმა, საქართველო 90-იან წლებში დატოვა, აშშ-ს მიაშურა და ახალი ცხოვრება დიდი ემოციითა და შთაბეჭდილებებით დაიწყო.

ქართველ ემიგრანტებზე გადაღებული ფილმი, რომელმაც ამერიკელი მაყურებელი აატირა

— 90-იანი წლების დასაწყისში აქტიური პოლიტიკური ჟურნალისტი ვიყავი. მართალია, მცირე ჰონორარი მქონდა, მაგრამ ჩემი საქმე მაინც უზომოდ მიყვარდა... 90-იანების გარემომ თავისი გაიტანა და ერთი წლით აშშ-ში წასვლა გადავწყვიტე — ინგლისური ენის კურსების გავლა მინდოდა. ენა არ ვიცოდი, არც მეგობარი მყავდა, არავინ მიცნობდა... ისიც კი არ იცოდნენ, რომ ეროვნება „ქართველი“ არსებობდა, ყველას რუსები ვეგონეთ.

— თუ ასე იყო, აშშ-ში დარჩენა რატომ გადაწყვიტეთ?

— აშშ ჭაობივით გიზიდავსო, ნათქვამია და მეც ასე დამემართა. 2002 წელს ირლანდიური წარმოშობის ძირძველი ამერიკელი, პატრიკ ქეისი გავიცანი, შემიყვარდა და ცოლად გავყევი. 2008-ში ნათია ქეისი შემეძინა. მთელი დღე მისი მოვლით ვარ დაკავებული. ამერიკელებით დასახლებულ ლონგ აილენდზე ვცხოვრობთ. ისე, შვილს მხოლოდ ქართულად ვესაუბრები. ყურადღებას ყველგან ჩვენი ქართულით ვიპყრობთ. შორეულ კუნძულზე თავს მარტოსულად არ ვგრძნობ — პატარა მესაიდუმლე მყავს. შემოქმედებითი ცხოვრება ღამით, ნათიას დაძინების შემდეგ იწყება... 2013 წლის დეკემბერში დავამთავრე სიტი უნივერსიტეტის ბრუკლინ კოლეჯის სარეჟისორო ფაკულტეტი, სადაც პირველი ქართველი სტუდენტი ვიყავი. თავის დამკვიდრება ადვილი არ არის. მით უმეტეს, როცა დედა ხარ, თან უცხოელი... ვეცადე, პროფესორები ქართულ კინოს გასცნობოდნენ. ინტერნეტით ვიძენდი ჩვენებურ ფილმებს და ყველას ვჩუქნიდი, ნებისმიერ დავალებას ქართველებზე, ქართველების მონაწილეობით ვასრულებდი. ჩემი ორი ფილმი — „ნანა“ და „ქართული პური“ ბრუკლინ კოლეჯის ბაზაზე შეიქმნა. ტექნიკურ და შემოქმედებით ჯგუფში 25 სტუდენტი მონაწილეობდა. დღეს ფაკულტეტზე ყველამ იცის, რომ ქართველებს უმაღლესი დონის ფილმები გვაქვს, სტუმართმოყვარეები ვართ. თანაკურსელები გეტყვიან, რომ პიცას ხაჭაპური სჯობს. პრაქტიკულად, ბარათაშვილის „მერანივით“, ჩემი მისია შევასრულე. ახლა აქ უკვე რამდენიმე ქართველი სწავლობს. მათ ბევრად გაუადვილდათ ჩემს გაკვალულ გზაზე სიარული. ამას წინათ, ფაკულეტეტზე, ქართველმა სტუდენტმა გოგონამ მითხრა, თქვენი გაცნობა მინდოდა, რადგან ყველა პროფესორი მეკითხება, თუ იცნობ ქეთის „ჯორჯიიდანო“.

— ჟურნალისტმა სარეჟისორო ფაკულტეტი რატომ აირჩიეთ?

— აშშ-ში ბავშვობის გატაცებას — პროზასაც მივუბრუნდი, რამაც სარეჟისორო ფაკულტეტამდე მიმიყვანა. ემიგრანტულ ნოველებს რომ ვწერდი, ყველა დეტალს ფოტოგრაფიულად, მოძრაობაში ვხედავდი. მარტო ფურცელი აღარ იყო საკმარისი. ვიფიქრე, ყველაფერი ეს ეკრანზე უნდა ვაჩვენო-მეთქი. შევარჩიე სახელმწიფო, სიტი უნივერსიტეტი, რომელიც დაბალი და საშუალო ფენის ამერიკელებისთვის შედარებით ხელმისაწვდომია. საქართველოში პარადოქსული წარმოდგენაა სწავლის ამერიკულ სისტემაზე. ამბობენ, მაღალი დონე არ არისო, მაგრამ ასე არაა. მეცადინეობა ყოველ კვირას გიწევს. თავიდან, პროტესტი გამიჩნდა. ბოლოს, თავი დავარწმუნე, რომ ესაა სწორი და არა — სემესტრის ბოლოს 4 დღეში მომზადებული საგანი. მალე მივეჩვიე ამ არაადამიანურ შრომას და მაღალი შეფასებებიც დავიმსახურე.

— პირველად რა ფილმი გადაიღეთ?

— „თუთიყუში“. სცენარი ჩემია, ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით დავწერე. თავის დროზე ბევრ ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა, 2004 წელს კი, „15 საუკეთესო ქართულ მოთხობაში“ მოხვდა. „თუთიყუში“, რომ იტყვიან, ჩემი პირველი „შვილია“. ნიუ იორკის უნივერსიტეტში ერთი კლასი ავირჩიე, რათა მომესინჯა, იყო თუ არა რეჟისორობა ჩემი მოწოდება. პროფესორმა პარკერმა თქვა, გადით და ფილმის გადაღება დაიწყეთო. დავუჯერე და ჯიბეგამოფხეკილმა ემიგრანტმა „თუთიყუში“ გადავიღე. პრიზი არ მიმიღია, მაგრამ ფილმი, მსოფლიო მასშტაბით, 8 საერთაშორისო ფესტივალზე მოხვდა, რაც საოცრება იყო. „თუთიყუში“ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზეც აჩვენეს, რაც ჩემთვის დიდი პატივია. ეს ფილმი ემიგრატი გოგონას ისტორიაა. წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო კინოხელოვნება, მაგრამ დიდი გამოცდილება მივიღე. სამაგიეროდ, ბევრი ფული დავხარჯე, მძიმე მდგომარეობაში ჩავაგდე ოჯახი საქართველოში და ამერიკული ოჯახი გავანაწყენე. „თუთიყუშმა“ დამანახა, რომ საჭიროა სრული განათლების მიღება და არა დილეტანტობა.

— ქართველი ემიგრანტი ქალის ცხოვრებაზე ფილმის გადაღება როდის გადაწყვიტეთ?

— ფილმ „ნანამდე“ 8 წუთიანი „ბრუკლინის სახლის საიდუმლო“ იყო. ფილმი ქართველ ქალზეა, რომელიც მოხუცს უვლიდა და ღამით, სახლში მოჩვენებებს ხედავდა, მარამ სამსახურიდან მაინც არ მიდიოდა, უმუშევრობის ეშინოდა. ამ ისტორიამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. ვფიქრობდი, თემას მივბრუნებოდი. სწორედ ამ პერიოდში უნივერსიტეტის მეგობარმა, ნინო ჩუტკერაშვილმა ცუცა კაპანაძესთან დამაკავშირა. ცუცამ მკითხა, ფილმში როდის უნდა გადამიღოო. გამიხარდა. სადიპლომოს ვიწყებდი და ცუცას მონაწილეობით ქართველი ქალის ისტორიის დაწერა გადავწყვიტე. ამ იდეით ჩემი პროფესორი მოიხიბლა. ზოგადად, სადიპლომო 15-წუთიანი ნამუშევარი უნდა იყოს. შესაბამისად, 15-ფურცლიანი სცენარი დავწერე (ერთი გვერდი ფილმის ერთ წუთად აღიქმება). საოცრება მოხდა და ფილმი დიდი გამოვიდა. პროფესორის რჩევით, არ შევკვეცეთ. გავრისკეთ, რადგან მოსალოდნელი იყო, ფაკულტეტს, 30-წუთიანი ფილმის ჩვენებაზე უარი ეთქვა. ნანა თავდადებული ქალბატონია, რომელშიც, ვფიქრობ, ქართველი ქალის დადებითი თვისებები გავაერთიანე. ნანა გმირია, ს ოჯახის დახმარების პარალელურად, სურს, გადაარჩინოს უცხო ადამიანიც. ის სიკეთისა და თავდადების განსახიერებაა. ფილმში, ემიგრაციის თემასთან ერთად, სიყვარულიცაა, რაც მას რომანტიკულს ხდის. „ნანაზე“ მუშაობა შრომატევადი იყო — პროდიუსერიც ვიყავი, რეჟისორიც, სცენარისტიც და სამხატვრო ხელმძღვანელიც. მთავარ როლს ცუცა კაპანაძე ასრულებს. მეორეხარისხოვანი მსახიობები, მოჩვენებების სახლი, შემოქმედებითი თუ ტექნიკური ჯგუფი, პროფესორი რობერტ ტუტაკი, რომელიც ზედამხედველობდა ფილმზე მუშაობის პროცესს — ყველაფერი ეს ერთად ბრწყინვალე იყო. სამი თვის ძებნის შემდეგ, ვიპოვე სახლი, როგორიც წარმოდენილი მქონდა; სახლის უცნობმა ამერიკელმა მფლობელმა გამიმართა ხელი — ტექნიკით აღჭურვილი 15-კაციანი ჯგუფი უმდიდრეს, ანტიკვარებით გაწყობილ სახლში, 4 დღით შეგვიშვა. ფილმის გადაღება ძვირი სიამოვნებაა. სადიპლომოზე მუშაობისას სარეჟისორო კლასის ნახევარი იცლება. სკოლის ინვენტარისა და ტექნიკის მიუხედავად, ფილმის გადაღება დაკავშირებულია დიდ თანხებთან: საკვები, ტრანსპორტი, კოსტუმები... ამ ფონზე, უსახსრობის გამო, ბევრმა მიატოვა სწავლა და სხვა ფაკულტეტზე გადავიდა. ვიბრძოლე, მათი ბედი არ გამეზიარებინა. ემიგრანტებისთვის ჩემი პატარ-პატარა ფილმების ჩვენებას ვაწყობდი. ამ შემოწირულობამ „ნანას“ ბიუჯეტის მხოლოდ 1% შეადგინა. თუ სადმე ვიმუშავებდი, მთელ ფულს „ნანაში“ ვდებდი. წვალებით, არაჩვეულებრივი ამერიკელების უანგარო დახმარებით, ფილმი დავასრულე.

— ამერიკელი მაყურებელი ფილმს როგორ შეხვდა?

— რეაქცია მოულოდნელი იყო – ბევრი იცინეს და იტირეს. ცუცას აქცენტმა და თავიდან ბოლომდე გათავისებულმა როლმა საოცარი განწყობა გამოიწვია. ჩვენება ქართველი ემიგრანტებისთვისაც მოვაწყვე. მათ ნანაში საკუთარი თავი დაინახეს, სენტიმენტალურად განეწყნენ და იტირეს. „ნანას“ პირველი ოფიციალური შემფასებელი ბრუკლინ კოლეჯის ფილმების 32-ე ფესტივალი იყო, რომელიც ყოველწლიურად საკმაოდ პრესტიჟულ ცენტრში, ბრუკლინის მუსიკის აკადემიაში (BAM) იმართება. წელს 80 ფილმი იყო წარდგენილი და აქედან 24 ფესტივალისთვის უნდა შეერჩიათ. „ნანა“ 24 ფილმში მოხვდა. მეტიც, ოთხ ნომინაციაზე წარადგინეს. მათგან სამზე მე — საუკეთესო პროდიუსინგის, საუკეთესო სამხატვრო დიზაინისა და საუკეთესო სცენარისთვის. მეოთხეზე კი, ჩემი ჯგუფის წევრი, საუკეთესო ხმის ჩაწერისთვის. ნიუ იორკის ოფისმა გადმომცა „ამომავალი ქალი რეჟისორის“ პრიზი, რაც უდიდესი პატივია. პარალელურად, ორგანიზაციამ წევრად მიმიღო.

— გაქვთ წარმატების ფორმულა, რომელიც შეგიძლიათ, სხვა რეჟისორებსაც გაუზიაროთ?

— ფილმის წარმატება არანორმალურმა შრომამ, ღამეების თევამ, დეტალებზე არაერთგზის შეჩერებამ, თავდადებამ და მიზნის მიღწევისთვის ბრძოლამ, ასევე სხვისი აზრის გათვალისწინებამ განაპირობა. პროფესორმა მითხრა, ეს ფილმი აუცილებლად დაიპყრობს მაყურებელს, რადგან სხვისი აზრის გაზიარება შეგიძლიაო. წარმატებაში ლომის წილი ცუცა კაპანაძეს მიუძღვის. ასევე. ყველა მსახიობი ჩემთვის დიდი მონაპოვარია. მნიშვნელობანი იყო პროფესორ რობერტ ტუტაკის გვერდში დგომა — დროს, ენერგიას არ იშურებდა, ტექნიკურად, აზრობრივად თუ ემოციურად მეხმარებოდა. 2014-2015 წლები „ნანას“ ფესტივალებზე მოგზაურობის პერიოდია. მსურს, რაც შეიძლემა მეტმა მაყურებელმა ნახოს. პრობლემა ისაა, რომ აქაც თანხებია საჭირო — აშშ-ის ყველა ფესტივალზე ფილმის წარდგენა დიდ ფულთანაა დაკავშირებული.

— „ნანა“ მაყურებელმა უკვე ნახა. აი, „ქართული პური“ კი ჯერ არავის „დაუგემოვნებია“.

— „ქართული პური“, კახი კავსაძის მონაწილეობით, პრაქტიკულად, ორჯერ გადავიღე. პირველად ერთ კვირაში, როგორც საშინაო დავალება რეჟისურის კლასისთვის. უმაღლესი შეფასება მივიღე. პროფესორმა მირჩია, მეორედ გადამეღო, აუჩქარებლად, როგორც პროექტი და მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ასე აღმოჩნდა კახი კავსაძე ქართველი ემიგრანტის როლში. სამწუხაროდ, ფილმის დამთავრდება ფინანსების გამო ვერ ხერხდება — მონტაჟის ფაზაშია. ვერ ვიპოვე სპონსორი მიუხედავად იმისა, რომ მთავარ როლს ბუმბერაზი მსახიობი ასრულებს. ძალიან განვიცდი. არ მინდა, ბატონ კახის იმედი გავუცრუო. იმედია, „ქართული პურის“ გადაღებაც დასრულდება და მაყურებლის მოწონებას დაიმსახურებს. ზოგადად, ყველაფერს ქართველებზე და ქართველებთან დაკავშირებულს ვაკეთებ. სამშობლო ყველაზე ტკბილია. სამშობლოში გატარებული ახალგაზრდობის წლები ყველაზე ბედნიერად მახსენდება. ომის წლებში გატარებული სტუდენტობაც ტკბილი იყო: ჟურნალისტების მეექვსე კორპუსი და ნოდარ ტაბიძის დაბალ და შემპარავ ხმაზე ჩატარებული არაჩვეულებრივი ლექციები. პოლიტიკური კორესპონდენტობაც ჩემი ცხოვრების უბედნიერესი მომენტი იყო. სამშობლოში თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობ. ემიგრანტობა რთულია, ყოველდღიურად თავის დამკვიდრების მცდელობაა — სადაც უნდა წახვიდე, უნდა აჩვენო, რომ კარგი ადამიანი და პროფესიონალი ხარ. ეს მაშინ ხდება, როცა შრომით მოპოვებულ შენს საფეხურს ინარჩუნებ. დაბლა თუ ჩამოხვალ და თავს დახრი, არარაობად გადაიქცევი, ალბათ, ემიგრატნობაც გაგიადვილდება. ჩემი ფილმებით მინდა, ქართველებსა და საქართველოზე, როგორც ქვეყანაზე ვისაუბრო. მეტი ინფორმაცია გავავრცელო, რის ნაკლებობასაც აშშ-ში ჩამოსვლის დღიდან განვიცდი. ეს მისიად დავისახე. თუ ამის გაკეთებას შევძლებ, ჩავთვლი, მიზანს მივაღწიე.

ვერსიანიუსი

აშშ-ში ქართული ფილმების რეტროსპექტივა მოეწყობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი MoMA, ბერკლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი და წყნარი ოკეანის კინოარქივი, 23 სექტემბრიდან, ქართული ფილმების მასშტაბურ რეტროსპექტივას მასპინძლობს, რომელიც კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ გახსნა.

რეტროსპექტივის ფარგლებში, წარმოდგენილი იქნება 45-მდე ქართული ფილმი — როგორც საუკუნოვანი ქართული უხმო კინო და საბჭოთა პერიოდის კინოკლასიკა, ისე ახალი ქართული ფილმები.

„საუკუნის პროექტზე“ მუშაობა თითქმის 25 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქართული ფილმების მსგავსი მასშტაბური რეტროსპექტივა მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში პარიზში, პომპიდუს ცენტრში გაიმართა.

ნიუ იორკისა და ბერკლის შემდეგ, 50-მდე ქართული ფილმის ჩვენება ვაშინგტონსა და ტორონტოს სინემათეკაშიც შედგება.

ქართული კინოს დღეების ორგანიზატორები არიან ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ჯოჯ, ბერკლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი და წყნარი ოკეანის კინოარქივი.

რეტროსპექტივის მხარდამჭერები კი საქართველოდან გახლავთ: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს გენერალური საკონსულო ნიუ იორკში; საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

„ინტერპრესნიუსი“

სუდოკუმანია

ადვილი

	5		2		4	3	1	
		4		1		5		2
2								
8			5		7			
		3		2		9		
			9		8			7
								6
3		2		6		1		
	6	9	4		2		7	

სტანდარტი

4	2			6				
		8	4				6	2
7		5						
	8				6			
9	4	2	8		3	1	7	6
			2				9	
						6		4
3	7				4	8		
				8			3	7

რთული

						9		
				6	4	3		2
3			2					1
8				7		5		
7			6	4	3			8
		2		8				3
9					8			4
2		8	9	5				
		7						

ექსპერტი

8		5	6	4				
	2							
	6	3				5	7	
6			8				3	
			4	3	1			
	8					2		9
	4		5			3	1	
							8	
				2	6	7		5

რეკლამამ ფეხებზე გადაინაცვლა

ამომავალი მზის ქვეყანაში ახალგაზრდა გოგონები პროდუქციის რეკლამირებას საკუთარ ფეხებზე, უფრო სწორად, ბარძაყებზე ახდენენ. მიიჩნევენ, რომ რეკლამისთვის საუკეთესო ადგილი სწორედ იქ არის, საითკენაც გაურბის თვალი ყველა მამაკაცს. ამ მარტივი იდეით აღჭურვილი იაპონური მარკეტინგული ფირმა Absolute Territory PR, ორიგინალურ სარეკლამო ნაბიჯზე წავიდა და საჭირო ინფორმაციას ახალგაზრდა გოგონების ფეხის მოშიშვლებულ ნაწილზე ათავსებს. ფირმა იაპონელ ლამაზმანებს ფულის შოვნას ბარძაყის წინა ან უკანა მხარეს, სარეკლამო სტიკერის მიკვრით სთავაზობს. ქალის სხეულის ეს ნაწილი მეტად პოპულარულია იაპონელ მამაკაცებში, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალის ბარძაყისადმი მიძღვნილი ცალკე გვერდი Facebook-ში. რეკლამის ტარების მსურველი კი 18 წლის ზემოთ უნდა იყოს და საკუთარი გვერდი ჰქონდეს სოციალურ ქსელებში. სტიკერის ტარება დღეში მინიმუმ 8 საათის განმავლობაში ევალებათ. Absolute Territory PR-ის შეთავაზებით დღეს იაპონიაში მშვენიერი სქესის 13 ათასი წარმომადგენელი სარგებლობს.

ყველაზე უიღბლო მძარცველი

იგი 88-ედ დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც მოპარული საათის გაყიდვის შესახებ ინტერნეტში განცხადება განათავსა. პარიზის პოლიცია აცხადებს, რომ ქურდმა მორიგი პატიმრობა მას შემდეგ დაიმსახურა, რაც ერთ-ერთმა დაზარალებულმა საიტზე საკუთარი მეუღლის საათი ამოიცნო. სამართალდამცველების თქმით, როცა საქმის ძიება დაიწყეს, კვალმა ისინი 50 წლის მამაკაცთან მიიყვანა, რომლის ანგარიშზეც უკვე იყო 87 პატიმრობა ქურდობისთვის.

პაციენტმა ოპერაციისას ვიოლინოზე დაუკრა

ებრაელმა მედიკოსებმა წარმოუდგენელი ოპერაცია ჩაატარეს თავის ტვინზე. ქირურგიული ჩარევა მევიოლინეს დასჭირდა, რომელიც ტრემორისგან იტანჯებოდა და ამის გამო წლების განმავლობაში სცენაზე გამოსვლას ვერ ახერხებდა, რადგან ხელების კანკალი არა მხოლოდ დაკვრაში, არამედ წერასა და ჭიქა წყლის დალევისასაც კი პრობლემას უქმნიდა. ოპერაციის უნიკალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროცედურის განმავლობაში პაციენტი გონზე იყო და საყვარელ ინსტრუმენტზე უკრავდა. ნაომი ელიშავი ორკესტრში უკრავდა, თუმცა 20 წლის წინ ამაზე უარის თქმამ მოუწია, რადგან იმ დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, რომლის საწინააღმდეგო საშუალებაც არ არსებობდა. თუმცა, ცოტა ხნის წინ ნაომიმ შეიტყო, რომ შეიძლებოდა ქირურგიული გზით ამ პრობლემის მოგვარება და მაშინვე დათანხმდა ოპერაციას, რომელიც ადგილობრივი ნარკოზით კეთდება, მედიკოსებმა ორგანიზმის სხვა სისტემების კონტროლი რომ შეძლონ, ვიდრე ტვინზე მუშაობენ. ამის გამო ექიმებმა მუსიკოსს სთხოვეს ვიოლინოზე დაკვრა, მის რეაქციას რომ დაკვირვებოდნენ. პაციენტი დათანხმდა და მოცარტის ნაწარმოების შესრულებას შეეცადა. მედიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ ქირურგიული ჩარევის შემდეგ ნაომი კვლავ შეძლებს სცენაზე გამოსვლასა და საყვარელ ინსტრუმენტზე დაკვრას.



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	8	6	3	2	7	1	9	4
9	7	4	1	6	8	5	2	3
3	2	1	5	4	9	8	7	6
8	4	5	7	1	3	9	6	2
7	3	2	9	8	6	4	5	1
6	1	9	4	5	2	3	8	7
4	9	7	2	3	5	6	1	8
2	6	3	8	9	1	7	4	5
1	5	8	6	7	4	2	3	9

სტანდარტი

5	7	6	9	4	8	3	2	1
4	2	3	6	5	1	7	9	8
1	9	8	2	7	3	4	6	5
9	8	2	1	6	7	5	3	4
7	6	5	8	3	4	2	1	9
3	4	1	5	2	9	6	8	7
2	5	9	7	1	6	8	4	3
8	3	7	4	9	2	1	5	6
6	1	4	3	8	5	9	7	2

ადვილი

8	1	3	4	6	7	5	9	2
5	9	2	8	1	3	4	7	6
7	6	4	5	2	9	8	3	1
6	7	1	3	5	4	2	8	9
4	8	5	2	9	1	7	6	3
3	2	9	7	8	6	1	4	5
2	3	8	6	4	5	9	1	7
1	5	7	9	3	8	6	2	4
9	4	6	1	7	2	3	5	8

სტანდარტი

4	9	5	2	1	8	7	6	3
8	7	3	6	5	4	2	1	9
1	6	2	3	9	7	5	4	8
3	5	1	4	8	2	9	7	6
6	2	9	5	7	3	1	8	4
7	4	8	1	6	9	3	5	2
2	1	7	9	4	6	8	3	5
9	8	6	7	3	5	4	2	1
5	3	4	8	2	1	6	9	7

რთული

9	5	1	8	7	6	2	4	3
8	4	6	3	5	2	1	9	7
7	3	2	4	9	1	5	8	6
4	2	8	7	3	9	6	1	5
6	1	9	5	2	8	7	3	4
5	7	3	1	6	4	9	2	8
3	9	4	6	1	7	8	5	2
2	8	7	9	4	5	3	6	1
1	6	5	2	8	3	4	7	9

ექსპერტი

9	8	7	6	1	5	4	3	2
3	4	2	8	9	7	6	1	5
6	5	1	4	3	2	9	7	8
8	9	4	7	6	3	5	2	1
2	6	3	5	8	1	7	4	9
1	7	5	2	4	9	3	8	6
4	3	9	1	5	8	2	6	7
5	2	8	3	7	6	1	9	4
7	1	6	9	2	4	8	5	3

რთული

2	9	3	1	7	8	6	5	4
1	7	8	6	5	4	3	2	9
4	5	6	3	2	9	1	8	7
5	2	7	4	3	1	9	6	8
8	6	1	2	9	7	5	4	3
3	4	9	5	8	6	7	1	2
9	3	5	8	6	2	4	7	1
7	1	2	9	4	5	8	3	6
6	8	4	7	1	3	2	9	5

ექსპერტი

8	7	1	6	3	5	4	2	9
6	4	5	2	1	9	3	8	7
3	9	2	7	8	4	1	6	5
5	3	4	1	2	6	9	7	8
7	2	9	3	5	8	6	1	4
1	8	6	4	9	7	5	3	2
4	1	3	9	7	2	8	5	6
2	6	8	5	4	3	7	9	1
9	5	7	8	6	1	2	4	3

მე-10 გვერდი: 1. შიზოფრენია; 2. ფლეიტა; 3. შამპინიონი; 4. ზოსიმე; 5. ფშავი; 6. ფალსტარტი; 7. ემბოლია; 8. ტარო; 9. ემისია; 10. აორტა; 11. ბლინი; 12. ლიბერო; 13. ისლანდია; 14. ტრაიანე; 15. იამბი; 16. როსი; 17. ლეონი; 18. ტილი; 19. კოტონი; 20. რი; 21. რეალია; 22. აბი; 23. ქსილიტი; 24. რუ; 25. იაჰვე; 26. ბიო; 27. ნალი; 28. ორბიტა; 29. გოლფსტრიმი; 30. ჰალი ბერი; 31. კვინტა; 32. ნეკი; 33. მესოპოტამია; 34. საფარბეგი; 35. ოყა; 36. დონ; 37. აეროპორტი; 38. რიალი; 39. ყაენი; 40. ლატვია; 41. ფა; 42. აყალო; 43. „ალიტალია“; 44. გო; 45. სტატია; 46. ყაირათი; 47. მეგრე; 48. ნეზი; 49. ტრაკაი; 50. ვიკინგი; 51. ერი; 52. შოთი; 53. ლაოსი; 54. ნოე; 55. კანოე; 56. ალტი; 57. შაორი; 58. სი; 59. იალტა; 60. ოე; 61. რისკი; 62. გედია; 63. ზმნა; 64. დაქიპნოე; 65. იაქი; 66. თეო; 67. დანია; 68. ასა; 69. „გალფი“; 70. ეტა; 71. ირემი; 72. გირაო; 73. ფოკა; 74. ატა; 75. როტა; 76. მურილიო; 77. რძე; 78. ტაკა; 79. ჯა; 80. დასი; 81. არენა; 82. აჯა; 83. ფატა; 84. კასტეტი.

მე-12 გვერდი: 1. მენტორი; 2. ესკიმოსი; 3. ტოპაზი; 4. რელე; 5. სტომაქი; 6. ტარტაროზი; 7. მამბა; 8. ქარვა; 9. აკაპელა; 10. უნიკუმი; 11. ამარილისი; 12. ადიტი; 13. დრამერი; 14. ვასალი; 15. რტო; 16. კლიპი; 17. მუზა; 18. დომინო; 19. ასი; 20. არე; 21. კარავაი; 22. იტურუპი; 23. ელი; 24. ჭუბერი; 25. პიზა; 26. ლოსიონი; 27. ბაზა; 28. ზურაბი; 29. უტილი; 30. მატერიკი; 31. მარადია; 32. პლაჟი; 33. ანტეოსი; 34. ორანჟერეა; 35. აკრი; 36. ნიჰილიზმი; 37. ჰალეი; 38. კოკი; 39. ური; 40. „ურმული“; 41. ირი; 42. გოთუა; 43. ტრიო; 44. რესპირაცია; 45. სუ; 46. დუ; 47. ეოსი; 48. აბი; 49. ტირე; 50. ოტრი; 51. „კომბლე“; 52. სე; 53. რა; 54. რაცია; 55. ცური; 56. იტრიუმი; 57. მუტრიბი; 58. „პეჟო“.



1. შერლოკ ჰოლმსის მტერი
2. კავალერისტების ჩექმა
3. ზურიკელა ვაშალომიძის ძაღლი
4. რომის ლეგენდარული დამაარსებელი
5. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
6. წიწვოვანი ტყის ზოლი ციმბირში
7. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
8. ქალაქი რუსეთში
9. გოეთეს დრამა
10. „სამეფო“ ფორტეპიანო
11. ამაზონის დელფინი
12. მეფე ნიკოლოზ II-ის ფავორიტი
13. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე
14. ადამიანის სამეტყველო ორგანო
15. ქუთაისის ძველი სახელწოდება
16. ინგლისელთა ტრადიციული ლუდი
17. ესპარანტოს ვარიანტი
18. მსოფლიოს მერვე ჩემპიონი ჭადრაკში
19. დელფინის მსგავსი ცხოველი
20. ბასკი ფეხბურთელი და მწვართნელი
21. გარდაცვლილ-ლის სული ჩინურ მითოლოგიაში
22. ფანტასტიური ცხოველი, ლომარწივი
23. ქალაქი ავსტრალიაში
24. მე-20 საუკუნის ფრანგი დრამატურგი
25. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
26. იტალიის საფეხბურთო კლუბი
27. მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
28. ფშავხევსურთა ერთ-ერთი ღვთაება
29. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
30. კუზიანი კურდღელი
31. ხვალის მომდევნო დღეს ანუ ...
32. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
33. ძროხის ნაშიერი
34. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
35. „მამა“ -თურქულად
36. იგივეა, რაც ქელეხი
37. ფუჭი, უშედეგო
38. საგანთა ჩამონათვალი
39. თმის ბუდობრივი ცვენა
40. ყველაზე დიდი ანტილოპა
41. ყურე ხმელთაშუა ზღვაში
42. ჯეოყოლას ცოლი „სტუმარმასპინძელში“
43. მოხარშული ცომის წვრილი ნაჭრები
44. არსენა ოძელაშვილის მშობლიური სოფელი
45. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი
46. ავადმყოფური იდეები, წარმოდგენები
47. ალექსეი ტოლსტოის ფანტასტიკური რომანი
48. „შევროლეს“ მოდელი
49. ჯეიმს ბონდის პისტოლეტის მარკა
50. სცენური ხელოვნების სახეობა
51. მდინარე სამხრეთ აფრიკაში
52. ვაზების მწკრივი ვენახში
53. ახლომხედველობა
54. ნახევრწრედ გამოწეული ნაწ. ბაზილიკაში
55. ორთავა კუნთი მხარსა და იდაყეს შორის
56. საზაფხულო საძოვარი
57. ჯულიეტას მიჯნური
58. ხმამაღლა დაკვრის აღმნიშვნელი ტერმინი
59. შადრევანი რომში
60. წარსულში ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი
61. ახალგაზრდა მეზღვაური
62. ოცკაპიკიანი მონეტის ძველი სახელწოდება
63. იტალიის საფ. კლუბი
64. ჭრილობა
65. იგივეა, რაც დედაკაცი
66. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
67. ხელოვნური საერთაშორისო ენა
68. მკვრივი ვულკანური ქანი
69. რუსეთის ეროვნული ვალუტა
70. ცხენოსნის წკეპლა
71. ბირმის ფულის ერთეული
72. ძველებური თაავსმკაული
73. სვეტებზე დაყრდნობილი ღია აივანი
74. იაზონის ხომალდი
75. სუსტი ქარი, ნიავი
76. ასტრონომიის მფარველი მუზა
77. აფრიკული მაგია
78. მუხის ნაყოფი
79. მუსიკალური გამის I ნოტი
80. ძვლის ანთება
81. ქართ. ხალ. იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი
82. სასულთნო აზიაში

რა აღიზიანებს თანამედროვე ადამიანებს

ევროპელმა სოციოლოგებმა იმ ძირითადი საგნების სია შეადგინეს, რაც თანამედროვე სამყაროში ადამიანებს ყველაზე მეტად აღიზიანებს. რეიტინგის პირველ ადგილზე მომაბეზრებელი გამყიდველები გავიდნენ, რომლებიც ცდილობენ, პოტენციური კლიენტები ნებისმიერი მეთოდით მიიზიდონ, მათ შორის ტელეფონითაც — მათ გამოკითხულთა 65% ვერ იტანს. სხვა გამაღიზიანებლებს შორის დასახელდა სპამი, უაზრო სატელეფონო ზარები და ფოსტის ნელი მუშაობა. ყოველდღიურ აუტანელ ქმედებად მიიჩნიეს რესპონდენტებმა სამსახურში წასასვლელად მეტროს ან „ელექტრიჩკის“ გადაჭედილ ვაგონში ფეხზე დოგმა, სარეცხი მანქანის უხარისხო მუშაობა, გადავსებული ნაგვის ვედრო. გამღიზიანებელთა „ჰიტ-პარადში“ დანარჩენი ადგილები ასე გადანაწილდა: ამა თუ იმ სერვისცენტრებში დარეკვისას ლოდინი, ძაღლის ექსკრემენტები ტროტუარებზე, ორმოები გზებზე, მგზავრები, რომლებიც საზოგადოებრივ ტრანსპორტში ერთბაშად ორ ადგილს იკავებენ, საცობები გზებზე, რიგები, აუჩქარებელი მყიდველები, რომლებიც სალაროსთან თქვენს წინ დგანან, უხეში კლიენტები სამსახურში, ფასიანი საზოგადოებრივი ტუალეტები, ჩიტების ექსკრემენტები მანქანაზე, გაპარსვის აუცილებლობა, უკულტურო მძღოლები, მომაბეზრებელი ტაქსისტები...

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					9		2	
		9	3				5	
				1	5	9	8	
4					8	5	3	
3								6
	6	2	5					9
	5	6	1	3				
	3				2	1		
	8		7					

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		2		7		3	4	
	1			2		8		
	5				8	9		
3		9	8					
				3				
					2	7		3
		4	7				6	
		1		6			3	
	9	7		4		1		

ᲠᲗᲣᲚᲘ

					8		3	
		3			9	6		4
6			7	5				
		7						9
	9		5		4		8	
2						5		
				9	7			3
9		8	2			4		
	6		3					

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4								
	6				5		8	
	7	5			3	9	2	
	3		1		7	5		
		4	3		6		1	
	2	8	4			6	5	
	4		8				3	
								9

მსოფლიოს ყველაზე უჩვეულო სკოლები

ახალი სასწავლო წლის დასწყებას ყველაზე მეტად პირველკლასელთა მშობლები განიცდიან — რომელ სკოლაში მიიყვანონ შვილი, სად მიიღებს საუკეთესო განათლებას... ზოგმა ელიტურ სასწავლებელში შეაბიჯა, ზოგმა კი ჩვეულებრივ სკოლაში, სადაც ცოდნის გარდა, პირველ ცხოვრებისეულ გაკვეთილებსაც მიიღებს. მსოფლიოში არსებობს რამდენიმე უჩვეულო სკოლა, რომელიც მისი დასრულების შემდეგაც, არავის დაავიწყდება. ერთ-ერთი ასეთი მიწისქვეშა სკოლაა — Terraset Elementary School PTA, რომელიც ვირჯინიის შტატის ქალაქ რესტონში მდებარეობს. სკოლა დაახლოებით 25 წლის წინ ააშენეს, როცა ამერიკაში ენერგეტიკული კრიზისი იყო. მაშინ ყველგან ცდილობდნენ ეკონომიას, მათ შორის სკოლების გათბობაზეც. როსეტის სასწავლო დაწესებულების მშენებლობისას მაღლობი მოასწორეს, გამოღებული მიწა შენობას ზემოდან წააყარეს, სითბოს შესანარჩუნებლად. განათებისა და გაგრილების პრობლემა კი მზის ელემენტებით მოაგვარეს.

კიდევ ერთი უჩვეულო სასწავლო დაწესებულება კანადაში, კერძოდ ტორონტოში მდებარეობს — „ალტერნატიული სკოლა ალფა“, რომელიც ჯერ კიდევ 1972 წელსაა აშენებული და გასაკვირია, რომ მოსწავლეებმა აქამდე მიწასთან არ გაასწორეს — აქ ხომ დაუმორჩილებლობის დღესასწაულია. სკოლაში არ არსებობს შეფასების სისტემა, არ არის მკაცრი განაწესი, სახლისთვის კი დავალებას საერთოდ არ აძლევენ. პატარა ცელქობისთვის, დაფაზე უცენზურო სიტყვის დაწერისთვის არავის დასჯიან, არც სწავლას აიძულებენ ვინმეს. აქაური მოსწავლეები თავად წყვეტენ, როგორ დაგეგმონ დღე და რა გაკვეთილებს დაესწრონ. კლასში ბავშვები ასაკის კი არა, ინტერესების მიხედვით იკრიბებიან. გარდა მათემატიკისა თუ ენის გაკვეთილებისა, ტარდება მეცადინეობები კულინარიაში, ძერწვასა და ფილოსოფიის საფუძვლებშიც კი. მასწავლებლებიც ცდილობენ, ბავშვებს ხელი არ შეუშალონ. სკოლის 40-წლიანი გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ აქ არსებული პრინციპი არც ისე ცუდია.

მომთაბარე სკოლა რუსეთში მდებარეობს და „კენელეკენენს“ ზუსტი მისამართი არ აქვს, ცნობილია მხოლოდ ის, რომ იაკუტიაში, ევენკების ეროვნულ ოლქში მდებარეობს. მომთაბარე ხალხის შვილები, ფუნდამენტური განათლება რომ მიეღოთ, იძულებულნი იყვნენ, სკოლა-ინტერნატში ესწავლათ, ახლა კი ეს პრობლემა მომთაბარე სკოლებმა მოაგვარა. ახლა მომთაბარეები, ყოველ ახალ „გაჩერებაზე“ ერთით მეტ კარავს დგამენ სკოლისთვის.

საერთო ენის გამონახვის სკოლა სამხრეთ კორეაში, პუსანში მდებარეობს — ეს საერთაშორისო უცხოური სკოლაა და იქ სწავლობენ ბავშვები სხვადასხვა ქვეყნიდან. ჩვეულებრივ, ეს ემიგრანტების შვილები არიან, ან ის ბავშვები, ვისი მშობლებიც კორეაში დიდი ხნით სამუშაოდ ჩავიდნენ. მათ სწავლების ინტენსიური რეჟიმი აქვთ, მომავალში კი შეუძლიათ წარმატებით ჩააბარონ რომელიმე ადგილობრივ უნივერსიტეტში. ასეთი სკოლის შექმნის იდეა მარტივია — უცხოელ პატარებს უჭირთ საერთო ენის გამონახვა ადგილობრივ თანატოლებთან ჩვეულებრივ სკოლებში, ხშირად დაცინვის საგანიც ხდებიან, რაც ფსიქოლოგიურ ტრავმას იწვევს.

ამერიკაში, ქალაქ ალბუკერკეში ჯოუნტაინ ჯაჰოგანყ ჩომმუნიტყ შცჰოოლ მდებარეობს, სადაც მოხვედრა მხოლოდ ლატარიის მოგების შემთხვევაში შეიძლება. მსურველმა სკოლის საიტიდან ამოღებული ბლანკი უნდა შეავსოს და ფაქსით გაგზავნოს, შემდეგ კი გათამაშების შედეგებს დაელოდოს. თუ ბავშვი მოგებულებს შორის აღმოჩნდება, მას სკოლაში მიიღებენ. ორიგინალურ სასწავლებელში არა მხოლოდ ჩარიცხვა, სწავლების პროცესიც ასეთია. სკოლის პოლიტიკა სამ რამეს ეფუძნება — უსაფრთხოებას, სიამოვნებასა და ემოციურ განვითარებას. პედაგოგების განცხადებით, კარგად სწავლისთვის ბავშვებს სასიამოვნო ატმოსფერო და აქტიური ჩართულობა სჭირდებათ. ამის მიხედვით შედგა პროგრამაც. გარდა ჩვეულებრივი გაკვეთილებისა, მოსწავლეებს კერვის, ბაღის მოვლის, კულინარიის ცოდნის უნარ-ჩვევებსაც უვითარებენ. სკოლის ტერიტორიაზე ასობით ხე დარგეს, რომელსაც მოსწავლეები უვლიან, ჯილდოდ კი ეკოლოგიურად სუფთა ხილი აქვთ.

ნიუ იორკის ჰარლემის სკოლაში არა მხოლოდ კულტურულ ფასეულობებს აზიარებენ, საბაზისო განათლებასაც აძლევენ; ისრაელში, თელ-ავივში კი სპეციალური სკოლაა არალეგალებისა და დევნილებისთვის, სადაც ბავშვები პლანეტის ყველა კუთხიდან ხვდებიან და მათ ერთი რამ აქვთ საერთო — განსაცდელი, რაც გამოიარეს. მოსწავლეებს ასწავლიან, აჭმევენ და აცმევენ კიდეც; კამბოჯას ერთ-ერთ სოფელში კი სკოლა პირდაპირ წყალზე — ტოლესაპის ტბაზე დგას. თავად სოფელიც ტბის ნაპირას კი არა, ტბაზეა. ეს მცურავი კუნძულია, სადაც საცხოვრებლების, კაფე-მაღაზიებისა და სხვა დაწესებულებების გარდა, სკოლაც არის. ბავშვების უმრავლესობა აქვე ცხოვრობს, რადგან ობოლია — მშობლები თევზჭერისას დაიღუპნენ, მათი უზრუნველი ცხოვრება კი ტურისტების დამსახურებაა. ტურიზმიდან შემოსული თანხა უნაწილდებათ სათამაშოების, წიგნების თუ ტკბილეულის შესაძენად; დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში არსებობს სკოლა Open Space-ის პრინციპით. ორესტადის გიმნაზიის შენობა თანამედროვე ხუროთმოძღვრების ნამდვილ ძეგლად აღიარეს — 2007 წელს საუკეთესო სკოლად დაასახელეს სკანდინავიაში. ამ დაწესებულებაში ის უფროსკლასელები სწავლობენ, რომლებიც მომავალში მედიაში იმუშავებენ. შენობა კლასებად არ არის დაყოფილი, ყველა ერთ უზარმაზარ დარბაზში მეცადინეობს. თანამედროვე შენობა თანამედროვე ტექნოლოგიებითაც სრულადაა აღჭურვილი. შესვენებაზე კი ბავშვები რბილ, ფერად-ფერად ბალიშებზე ნებივრობენ და ვარსკვლავებივით განათებულ ჭერს ათვალიერებენ.

სკოლა თავგადასავლით — კოლორადოში მდებარე სკოლა Watershed-ია, რომელიც არასტანდარტული პროგრამით გახდა ცნობილი. აშშ-ს მთავრობა წუხს, რომ ქვეყანაში ფერმერული კულტურა ქვეითდება. ეს საკითხი მასწავლებლებისთვისაც აქტუალურია და სწორედ ამიტომ სასწავლებელში გაჩნდა პროგრამა Farm to Table, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა ადგილობრივი ექვსი ფერმიდან ერთ-ერთში უნდა იარონ და მუშაობა ისწავლონ. შედეგად მთელი სწავლება რამდენიმეწლიან ლამაზ მოგზაურობას ემსგავსება. რასაკვირველია, ტრადიციულ საგნებსაც სწავლობენ, მაგრამ ყველაზე სასარგებლო მეთოდად მაინც მოგზაურობისას სწავლა მიიჩნევა. მაგალითად, ბავშვები არქიტექტურას სკოლის კედლებში წიგნებით კი არა, პირდაპირ ქალაქის ქუჩებში სწავლობენ, ბიოლოგიასა და გეოგრაფიას — ბუნებაში გასვლით და სხვა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.